1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

თებერვალი № 2 ФЕВРАЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

თებერვალი **№ 2** ФЕВРАЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროების კოლეგიების, ცეკავშირის გამგეობის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების 1980 წლის 12 აგვისტოს**

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ**

F-4864

სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ მოთხოვნათა და სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის (22.11.79 წ. ქ. პერმი) რეკომენდაციების შესაბამისად სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის შემდგომი განვითარებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის № 703 დადგენილების შესასრულებლად:

1. გამოცხადდეს ყოველწლიური დათვალიერება-კონკურსი (1980 წლიდან 1985 წლამდე).

2. დამტკიცდეს დებულება იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ემსახურებიან:

— არ დაუშვათ სკოლების მშენებლობა სასადილოების გარეშე და აგრეთვე მოძველებული პროექტებით, რომლებიც არ ითვალისწინებს პროგრესულ მოწყობილობასა და პირობებს მოსწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მომსახურების დასაჩქარებლად და სასადილოებისა და ბუფეტე-
ბის მუშაკთა შრომის გასაადვილებლად;

— ფართოდ დანერგეთ საწარმოებსა და სკოლებს შორის ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა სასკოლო სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი კვების სანიმუშო ორგანიზაციისათვის;

— უზრუნველყავით ყველგან 1980—1981 წლების განმავლობაში მოსწავლეთა კვებისათვის ანგარიშსწორების სააბონემენტო სისტემის დანერგვა, რომელიც იძლევა სასკოლო საუზმეებისა და სადილების წარმოების წინასწარი დაგეგმვის საშუალებას, აადვილებს ანგარიშსწორებას, ამცირებს საკვების მიღების დროს და გამორიცხავს მშობელთა მიერ ბავშვთა კვებაზე შემოტანილი სახსრების სხვა მიზნით გამოყენების საშუალებას;

— გააქტიურეთ საზოგადოებრივი და სამედიცინო კონტროლის კომისიების საქმიანობა სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაზე; სკოლის დირექტორების თათბირებზე, მშობელთა კომიტეტებსა და კრებებზე სისტემატიურად მოისმინეთ იმ პირთა ანგარიშები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა კვების ორგანიზაციასა და ხარისხზე სასკოლო კვების გაფართოებასა და სასადილო-ბუფეტებში სანიტარული დისციპლინის ამაღლებაზე;

— ფართოდ დანერგეთ მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის, სასკოლო კოლექტივების, მშობელთა კომიტეტებისა და შეფი საწარმოების სანიმუშო მუშაობის საუკეთესო გამოცდილება მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის;

— მოაწყვეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის მოსაყვანად, ხილკენკროვანი მცენარეების მოსავლის მისაღებად, რათა აღნიშნული პროდუქტები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა კვების გაიაფებისა და გაუმჯობესებისათვის;

— სკოლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისა და გამარჯვებულთა განსაზღვრისას აუცილებლად გაითვალისწინეთ სკოლების კოლექტივების წვლილი სასადილოების მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებაში, კვების ხარისხის ამაღლებაში, მოსწავლეთა მომსახურების მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
ზ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი
გ. ᲥᲝᲑᲚᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე

ქ. ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ნ. ᲑᲐᲕᲐᲨᲔᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის კოლეგიებისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების ერთობლივი 1980 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ემსახურებიან

აღნიშნული დათვალიერება-კონკურსი ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და მომსახურების კულტურის ამაღლების მიზნით.

### 1. დათვალიერება-კონკურსის ორგანიზაცია

დათვალიერება-კონკურსი საუკეთესო სასკოლო სასადილოს სახელის მოსაპოვებლად ტარდება ყოველწლიურად 1980 წლიდან 1985 წლის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ემსახურებიან, აგრეთვე სკოლების პედაგოგიური პერსონალი, მშობელთა კომიტეტები და საწარმოები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათვალიერება-კონკურსის ჩატარების პერიოდში სავაჭრო ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების, შეფი ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ახალი სასადილოების მშენებლობისა და მოქმედი სასადილოების რეკონსტრუქციის გეგმების შესრულებაზე, მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვაზე, სასადილოების აუცილებელი სასურსათო საქონლით უწყვეტ მომარაგებასა და სანიტარულ ნორმათა მკაცრად დაცვაზე.

დათვალიერება-კონკურსის ჩატარებისა და შედეგების შეჯამების ორგანიზაციას და ხელმძღვანელობას ანხორციელებენ დათვალიერება-კონკურსის კომისიები, რომლებიც შექმნილია სავაჭრო ორგანიზაციებთან და მათ შემადგენლობაში შედიან სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახალხო განათლების ორგანოების, გაერთიანებებისა და საწარმოების, ვაჭრობის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, სკოლების მშობელთა კომიტეტების წარმომადგენლები და საზოგადოებრივი კვების დარგის სპეციალისტები.

დათვალიერება-კონკურსის კომისიები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ამოწმებენ სკოლების სასადილოებსა და ბუფეტებს, აგროვებენ და დროულად იხილავენ შემოსულ წინადადებებსა და სურვილებს, რაზმავენ სასკოლო სასადილოებისა და სკოლების მუშაკებს დათვალიერება-კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის და უწევენ მათ ყოველმხრივ დახმარებას. ატარებენ ღონისძიებებს მოწინავე კოლექტივების მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის, ამ მიზნით იყენებენ პრესას, რადიოს და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

კონკურსის პირობების შესრულების მსვლელობა იხილება დათვალიერება-კონკურსის კომისიების სხდომებზე, სადაც ანგარიშებით გამოდიან ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სასკოლო სასადილოების ქსელის განვითარებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## II. დათვალიერება-კონკურსის პირობები

დათვალიერება-კონკურსი ტარდება ყოველი სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საზოგადოებრივი კვების სასკოლო საწარმოთა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივები, რომლებმაც ერთი წლის მუშაობის შედეგებით მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს:

— მოამზადეს მაღალი ხარისხის კერძები, გაამრავალფეროვნეს ისინი კვირეული (დეკადური) მენიუს თანახმად რაციონალურ საფუძველზე;

— უზრუნველყვეს საშუალო და რვაწლიანი სკოლების ყველა მოსწავლე ცხელი კერძებით ერთჯერადი და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები ორჯერადი კვებით;

— გადაიყვანეს სასკოლო სასადილოები დაკომპლექტებულ საუზმეებსა და სადილებზე ანგარიშსწორების სააბონემენტო სისტემის შემოღებით, შექმნეს ბოსტნეულის, ხილის, წვენების, მჟავე რძის პროდუქტებისა და ნამცხვრების გასაყიდი თვითანგარიშსწორების ბუფეტები;

— შემოიღეს დიეტური კვება სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეებისათვის სკოლების სამედიცინო მუშაკთა ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ;

— მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად გამოიყენეს სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთისა და დამხმარე მეურნეობის პროდუქცია;

— სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში გასაყიდ პროდუქციაზე შემოიღეს მუდმივმოქმედი ფასები;

— უზრუნველყვეს მუშაობა საჩივრებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის გარეშე (წონასა და ანგარიშში მოტყუება, ნედლეულის დაკლება);

— უზრუნველყვეს სასკოლო სასადილოებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა დადგენილი ნორმატივების შესაბამისად;

— აღჭურვეს სასადილოები აუცილებელი სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, ავეჯით, ჭურჭლით, ინვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარით, სპეციალური სანიტარული ტანსაცმლით, მოქმედი ნორმების შესაბამისად;

— სათანადო სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობაში მოიყვანეს საწარმოო-სავაჭრო, სასაწყობო და დამხმარე სათავსოები, სამაკალითოდ მოუარეს მოწყობილობას, ავეჯსა და ინვენტარს, შექმნეს შრომისა და მომსახურების სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, დაიცვეს სანიტარული წესები, საკვების შენახვის ვადები, პირადი ჰიგიენის წესები;

— აქტიურად მოიზიდეს სკოლების პედაგოგიური პერსონალი, სამედიცინო მუშაკები და მშობელთა კომიტეტები სასადილოების კოლექტივებისათვის დახმარების გასაწევად საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სასადილოებისა და ბუფეტების შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად;

— სრულად და სწორად გამოიყენეს სახელმწიფო ბიუჯეტებიდან მოსწავლეთა უფასო და შეღავათიან კვებაზე გამოყოფილი სახსრები;

— შეასრულეს ძირითადი გეგმიურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სოციალისტური ვალდებულებანი წლის განმავლობაში.

## III. დათვალიერება-კონკურსის შედეგების შეჯამება

სავაჭრო ორგანიზაციებთან და სახალხო განათლების განყოფილებებთან შექმნილი დათვალიერება-კონკურსის კომისიები აჯამებენ დათვალიერება-კონკურსის შედეგებს. განსაზღვრავენ დასაჯილდოებლად წარსადგენი სკოლებისა და სასკოლო სასადილოების კოლექტივებს.

ადგენენ საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიებით დასაჯილდოებელი სკოლებისა და სასადილოების მუშაკთა სიას, რომლებმაც უზრუნველყვეს კვების მაღალი ხარისხი და მომსახურების კულტურა.

დათვალიერება-კონკურსის შედეგების ამსახველი მასალები ეგზავნებათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მომდევნო წლის 20 აპრილისათვის № 1 დანართის თანახმად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების, ვაჭრობის სამინისტროებისა და ცეკავშირის გამგეობის კოლეგიები პროფკავშირების შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, კონკურსის ჟიურის წარდგინების საფუძველზე, აჯამებენ კონკურსის საბოლოო შედეგებს და განსაზღვრავენ გამარჯვებულებს ყოველი წლის 10 მაისამდე.

## IV. დათვალიერება-კონკურსის მონაწილეთა წახალისება

სკოლებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გამარჯვებული კოლექტივები, რომლებმაც დათვალიერება-კონკურსის პირობების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს, ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, ვაჭრობის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო სიგელებით.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ცალკეული ხელმძღვანელები, პროფკავშირული და მშობელთა კომიტეტების მუშაკები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სასადილოების ქსელის განვითარებასა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის სრულყოფაში, შეიძლება წარდგენილ იქნენ დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

სასკოლო სასადილოების მუშაობა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

1. მაღალხარისხოვანი კერძების მომზადებისათვის, პროდუქტების დამუშავების ტექნოლოგიის და მათი განაწილების ნორმების დაცვისადმი მუდმივი კონტროლისათვის — 10 ქულა;

2. კერძების მოსამზადებლად ბოსტნეულის, კარტოფილის, რძის პროდუქტებისა და თევზეულის ფართოდ გამოყენებისათვის — 5 ქულა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საუზმეების და სადილების კვირეული ან ათდღიანი მენიუს შემოღებისათვის, კვირის ყოველი დღისათვის ასორტიმენტის დაწესებისათვის — 10 ქულა;

4. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა ცხელი კერძებით ორჯერადი კვების ორგანიზაციისათვის — 10 ქულა;

5. მენიუს შესაბამისად სასადილოების აუცილებელი ასორტიმენტის პროდუქტებით უწყვეტი მომარაგებისათვის — 5 ქულა;

6. ნორმატივების მიხედვით დასაჯდომი ადგილებით უზრუნველყოფისათვის — 10 ქულა;

7. სათავსოსა და მოწყობილობის მოვლის სანიტარულ-ტექნიკური პირობების დაცვისათვის — 10 ქულა;

8. ვაჭრობის წესების დაცვისათვის — 5 ქულა;

9. გეგმიურ მაჩვენებელთა შესრულებისათვის — 5 ქულა;

10. სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის ცხელი კერძებით 60%-ით და გახანგრძლივებული დღის სკოლების მოსწავლეთა 100%-ით უზრუნველყოფისათვის — 10 ქულა;

11. სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობისა და სოცვალდებულებათა შესრულებისათვის — 5 ქულა;

12. სასადილოს მოწყობილობით, ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვისათვის — 5 ქულა;

13. სასადილოში მასწავლებელთა და მშობელთა კომიტეტის წევრთა მორიგეობისათვის — 5 ქულა;

14. მოსწავლეთა 60%-ს შორის ვაჭრობის საბონემენტო სისტემის შემოღებისათვის — 5 ქულა.

მოსწავლეთა ცხელი კერძებით ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად სკოლის ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი კვების მუშაკთა ინიციატივისათვის დაწესებულია დამატებით — 10 ქულა.

**შენიშვნა:** თუკი ცხელი კერძებით უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა კონტინგენტის 60%, ქულების რაოდენობა პროპორციულად გაიზრდება, ხოლო თუკი ცხელი კერძებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კონტინგენტის 60%-ზე ნაკლები, ქულები პროპორციულად მცირდება. იმ სასადილოების მუშაობა, რომლებშიც ცხელ კერძებს ღებულობს მოსწავლეთა კონტინგენტის 40%-ზე ნაკლები, საერთოდ არ შეფასდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივები, რომლებიც მთლიანად შეასრულებენ კონკურსის პირობებს და მიაღწევენ მაღალ მაჩვენებლებს მუშაობაში.

რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის პირობების შესრულებაში საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივებისათვის დაწესებულია პრემიები:

პირველი ორი — 300 მანეთი თითოეულს

ოთხი მეორე — 200 მანეთი თითოეულს

და ექვსი მესამე — 150 მანეთი თითოეულს

ერთი მუშაკის პრემიის ოდენობა წესდება 30-დან 60 მანეთის ფარგლებში.

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პრემირება ხდება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის სახსრების ხარჯზე შესაბამისი ფონდიდან, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკებისა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

დებულებისა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის შედეგების საბოლოო შეჯამებისა და კონკურსში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წარედგინება დათვალიერება-კონკურსის კომისიების გადაწყვეტილება შემდეგი სანიმუშო სქემის მიხედვით:

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის შედეგების შეჯამების შ ე ს ა ხ ე ბ**

____________________________________________________

(ოლქის, მხარის, რესპუბლიკის დასახელება)

198   წლისათვის                    „  „__________198____წ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობა მიიღო სკოლებისა და სასადილოების _________________ კოლექტივმა.

დათვალიერება-კონკურსის შედეგად მოქმედებაში შევიდა . . . ახალი სასადილო და ბუფეტი . . . დასაჯდომი ადგილით, გათვალისწინებულია დამატებით . . . სასადილოს მშენებლობა . . . დასაჯდომი ადგილით, კაპიტალურად შეკეთდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა . . . სასადილოსა და ბუფეტს . . . ადგილით. ცხელი კერძებით უზრუნველყოფილ მოსწავლეთა რაოდენობა დათვალიერება-კონკურსის პერიოდში გაიზარდა . . . კაცით და მიაღწია . . . კაცს მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან, ან . . . %-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულებად მიჩნეული არიან

---

(სკოლებისა და სასადილოების სრული დასახელება, რომლებმაც უზრუნველ-

---

ყვეს დათვალიერება-კონკურსის პირობების შესრულება).

ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს:

1. დათვალიერება-კონკურსის ორგანიზაციასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის შემდეგი მუშაკების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ:

2. მომსახურების მაღალი კულტურისა და დამზადებული კერძების ხარისხიანობისათვის პრემირებულ იქნან ფულადი პრემიებით:

3. დათვალიერება-კონკურსში აქტიური მონაწილეობისა და სასკოლო სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის პრემირებულ იქნან ფულადი პრემიებით შემდეგი მუშაკები:

| გვარი, სახელი, მამის სახელი | თანამდებობა | პრემიის ოდენობა |
|---|---|---|

**ხელმოწერა:**

**დათვალიერება-კონკურსის**

**კომისიის თავმჯდომარე —**

**შეთანხმებულია:**

ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების ქალაქკომის (რაიკომის) თავმჯდომარე (მდივანი)

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ქალაქკომის (რაიკომის) თავმჯდომარე

მ ა ს ა ლ ა

გადაწყვეტილებას დაერთვის დათვალიერება-კონკურსში ყოველი გამარჯვებული კოლექტივის მიხედვით № 2 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

დებულებისა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ

## წარდგინება

**საუკეთესო სასკოლო სასადილოს სახელის მოსაპოვებლად ჩატარებული დათვალიერება-კონკურსის შედეგების მიხედვით (ყოველ საწარმოზე)**

______________________________

(სასკოლო სასადილოს დასახელება იმ სავაჭრო ორგანიზაციის აღნიშვნით,

______________________________

რომელსაც იგი ექვემდებარება)

______________________________

(სასადილოს მისამართი)

______________________________

(სკოლის დასახელება, რომელსაც სასადილო ემსახურება)

სავაჭრო ორგანიზაციის უფროსი ______________

სასადილოს გამგე ______________

ადგილკომის თავმჯდომარე, პროფორგი ______________
(ხაზი გაუსვით)

სკოლის დირექტორი ______________

სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ______________

სასადილოში ადგილების რაოდენობა ნორმის მიხედვით ______________

ფაქტიურად ______________

სასადილოს მუშაკთა რაოდენობა ______________ კაცი

მოსწავლეთა რაოდენობა ______ სულ ______________ კაცი

მათ შორის მაქსიმალურ ცვლაში ______________ კაცი

იკვებება სასადილოში ______________ კაცი

იკვებება %: I—VII კლასები

VII—X კლასები

რა მაგიდებია შექმნილი სასადილოში: ჩაის დასალევი, ვიტამინების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისაღები, თვითანგარიშსწორების ———

მოსწავლეთა რაოდენობა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში ———
ჯგუფ/კაცი

მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში იკვებებიან ——— კაცი

აბონემენტების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა ——— კაცი

## ამონაწერი საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშიდან

| № № | მაჩვენებლები | ერთეული | წელი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | გეგმა | ფაქტიურად | % |
| 1 | საქონელბრუნვის გეგმის შესრულება | ათასი მან. | | | |
| 2 | საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება | ათასი მან. | | | |
| 3 | საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა | % | | | |
| 4 | გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები | მან. | | | |
| 5 | სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთისა და დამხმარე მეურნეობის პროდუქციის გამოყენება მოსწავლეთა კვების გაუმჯობესებისათვის | მან. | | | |
| 6 | სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყენება უფასო და შეღავათიანი კვებისათვის | მან. | | | |

**შენიშვნა:** წარდგინების ტექსტი უნდა ასახავდეს მუშაობას, რომელიც ჩატარდა დათვალიერება-კონკურსის ყველა მაჩვენებლის შესასრულებლად.

წარდგინებას თან უნდა დაერთოს:

სანეპიდსადგურის ცნობა სასადილოს სანიტარული მდგომარეობის და საკვების მოუწამვლელობის შესახებ;

სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის ცნობა ვაჭრობის წესების დაურღვევლობის შესახებ;

სკოლის მშობელთა და ადგილობრივი კომიტეტების წერილობითი აზრი საზოგადოებრივი კვების საწარმოს მუშაობის შესახებ.

სავაჭრო ორგანიზაციის უფროსი      სკოლის დირექტორი

სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე      სავაჭრო ორგანიზაციის მთავარი (უფროსი) ბუღალტერი

F-4864

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის ჩასატარებელი რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის**

## ჟ ი უ რ ი

თავმჯდომარე:

ჭყონია ვ. ი. — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი.

ჟიურის წევრები:

ანდრიაძე გ. გ. — ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის მოადგილე

გიგაური ლ. ნ. — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

ვარდოსანიძე გ. გ. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

ქვლივიძე დ. ა. — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობისა და კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილე

მოროზოვა ნ. ა. — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ინჟინერ-ტექნოლოგი

ჩინჩალაძე ვ. ი. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური ცენტრის სასკოლო კვების განყოფილების გამგე

გოზალიშვილი ზ. ნ. — ქ. თბილისის აღმასკომის საზოგადოებრივი კვების განყოფილების უფროსის მოადგილე

ღუდუშაური გ. ი. — ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი ინჟინერი

გოგიჩაიშვილი ნ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური ცენტრის სასკოლო კვების განყოფილების მეთოდისტი

თვარელიძე თ. გ. — ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ინჟინერ-ტექნოლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ

**келлегий Министерств просвещения и торговли Грузинской ССР, Правления Цекавшири, Президиумов республиканских комитетов профсоюзов работников просвещения, высшей школы и научных учреждений, государственной торговли и потребительской кооперации**

**О проведении смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ Минпроса Грузинской ССР**

**12 августа 1980 года**

В целях дальнейшего развития сети столовых и буфетов и совершенствования организации питания учащихся общеобразовательных школ в соответствии с требованиями постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 декабря 1977 года № 1111 «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их к труду», а также рекомендаций Всесоюзного совещания-семинара (22.11.79 г. г. Пермь) «Пути совершенствования организации общественного питания учащихся в общеобразовательных школах» и в целях выполнения постановления № 703 Совета Министров Грузинской ССР от 13 октября 1977 года:

1. Объявить ежегодное (с 1980 по 1985 г.г.) проведение смотра-конкурса.

2. Утвердить Положение о проведения смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ, обслуживаемых Минторгом ГССР и Правлением Цекавшири:

— не допускать строительство школ без столовых, а также по устаревшим проектам, не предусматривающим прогрессивное оборудование и условия, ускоряющие обслу-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

живание учащихся и облегающие труд работников столовых и буфетов;

— широко практиковать заключение договоров между производственными предприятиями и школами по улучшению материально-технической базы школьных столовых и образцовой организации общественного питания;

— обеспечить в течение 1980—1981 годов повсеместное внедрение абонементной системы расчетов за питание школьников, позволяющей заранее планировать производство школьных завтраков и обедов, упрощать расчет, сокращать время на получение пищи и исключать возможность использования детьми выделяемых родителями средств на питание в школе для других целей;

— активизировать работу комиссий общественого и медицинского контроля за работой школьных столовых и буфетов; организовать систематическое заслушивание на совещаниях при директорах школ, родительских комитетах и собраниях отчетов лиц, ответственых за организацию и качество питания учащихся, расширение охвата школьным питанием и повышение санитарной дисциплины в столовых и буфетах;

— широко внедрять лучший опыт организации питания школьников, образцовой работы школьных коллективов, родительских комитетов и шефствующих над школами производственных предприятий во улучшение и совершенствование общественного питания учащихся;

— всемерно развивать при общеобразовательных школах учебно-опытные участки по выращиванию овощей, фруктов ,картофеля; организацию сбора ягод, максимально используя эти продукты для улучшения и удешевления питания учащихся;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— при проведения итогов социалистического соревнования школ и определении победителей обязательно учитывать внесенный коллективами школ вклад в улучшение условий труда работников столовых, повышение качества пищи, внедрение передовых форм и методов обслуживания учащихся.

Заместитель Министра просвещения ГССР
**З. А. ЛОМИДЗЕ**

Министр торговли ГССР
**Г. Л. КОБЛИАНИДЗЕ**

Председатель правления Цекавшири
**К. Н. ШАВИШВИЛИ**

Председатель республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждении
**Д. ИОСЕЛИАНИ**

Председатель республиканского профсоюза работников госторговли и потребительской кооперации
**Н. ГАВАШЕЛИ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

«УТВЕРЖДЕНО»
совместным постановлением коллегий Минпроса ГССР, Минторга ГССР, Правления Цекавшири и Президиумов РК профсоюза просвещения, высшей школы и научных учреждений и работников Госторговли и потребительской кооперации
от 12 августа 1980 года

# ПОЛОЖЕНИЕ

**о проведении смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ Минпроса ГССР, обслуживаемых Минторгом ГССР и Правлением Цекавшири**

Настоящий смотр-конкурс проводится в целях дальнейшего развития и совершенствования организации общественного питания в общеобразовательных школах Минпроса ГССР, внедрения прогрессивных методов работы, повышения качества выпускаемой продукции и культуры обслуживания.

## I. Организация смотра-конкурса

Смотр-конкурс на лучшую школьную столовую проводится ежегодно с 1980 года по 1985 год.

В конкурсе принимают участие все коллективы предприятий общественного питания Минторга и Цекавшири, обслуживающие учащихся общеобразовательных школ, а также педагогический персонал, родительские комитеты школ и производственные предприятия.

В период проведения смотра-конкурса внимание руководителей торгующих организаций, органов народного образования, шефствующих над школами организаций и предприятий, комитетов профсоюзов должно быть сосредоточено на выполнение планов стоительства и реконструкции действующих столовых, внедрение прогрессивных форм обслужи-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

вания, бесперебойном снабжении столовых необходимыми продовольственными товарами, строгом соблюдении санитарных правил.

Организация и руководство работой, связанной с проведением смотра-конкурса и подведением итогов, осуществляется смотровыми комиссиями, созданными при торгующих организациях в составе руководителя торга, представителей органов народного образования, объединений и предприятий торговли и работников просвещения, высшей школы и научных учреждений, школьных родительских комитетов и специалистов общественного питания.

Смотровые комиссии по разработанному плану осуществляют проверку школьных столовых и буфетов, организуют сбор и свевременное рассмотрение поступающих предложений и отзывов, мобилизуют работников школьных столовых, школ, на успешное проведение смотра-конкурса и оказывают им всемерную помощь. Принимают меры к обобщению и распространению опыта работы передовых коллективов, используя в этих целях печать, радио и другие средства массовой информации.

Ход выполнения условий конкурса регулярно обсуждается на заседаниях смотровых комиссий с отчетами руководителей, ответственных за развитие сети школьных столовых и организацию общественного питания.

## II. Условия смотра-конкурса

Смотр-конкурс проводится с 1 октября до 1 апреля каждого учебного года.

Победителями смотра-конкурса признаются коллективы школьных предприятий общественного питания и общеобразовательных школ, которые по итогам работы за год добились лучших результатов в обеспечении:

— приготовления пищи высокого качества, разнообразия ее согласно недельному (декадному) меню на рациональной основе;

— одноразового горячего питания всех учащихся средних и восьмилетних школ, а также двухразового горячего питания учащихся групп продленного дня;

— перевода школьных столовых на реализацию скомплектованных завтраков и обедов с абонементной системой расчета, наличия буфетов саморасчета по продаже овощных закусок, фруктов, соков, кисломолочной продукции и выпечных изделий;

— организации диетического питания для нуждающихся в нем школьников под руководством и контролем медицинских работников школ;

— использования для улучшения питания учащихся продукции учебно-опытного участка и подсобного хозяйства школы;

— введения постаянно действующих цен на продукцию, реализуемую в школьных столовых и буфетах;

— работы без жалоб и нарушений правил советской торговли (обсчет, обвес, недовложение сырья);

— посадочных мест в школьной столовой в соответствии с установленными нормативами;

— оснащения столовых необходимым торгово-техническим и холодильным оборудованием, мебелью, посудой, инвентарем, санспецодеждой в соответствии с действующими нормами;

— надлежащего санитарно-технического состояния производственных, торговых, складских и подсобных помещений; образцового содержания оборудования, мебели и инвентаря, создания санитарно-гигиенических условий труда и быта, соблюдения санитарных правил, сроков реализации пищи, правил личной гигиены;

— активного участия педагогического персонала, медицинских работников и родительских комитетов школ в оказании практической помощи коллективам столовых в соответствии с действующим «Положением о столовых и буфетах при

ეროვნული ბიბლიოთეკა

восьмилетних и средних общеобразовательных школах Грузинской ССР»;

— полного и правильного использования средств, выделяемых из Госбюджета на бесплатное и льготное питание учащихся;

— выполнения основных планово-экономических показателей и социалистических обязательств в течение года.

### III. Подведение итогов смотра-конкурса

Смотровые комиссии, созданные при торгующих организациях и отделах народного образования подводят итоги смотра-конкурса, определяют победителей, подлежащих награждению коллективов школ и школьных столовых.

Представляют списки работников, подлежащих награждению Почетными грамотами, а также на премирование денежными премиями работников школ и столовых, обеспечивших высокое качество пищи и культуру обслуживания.

Материалы по итогам смотра-конкурса высылаются Минпросу ГССР, Минторгу ГССР и Правлению Цекавшири к 20 апреля следующего года согласно приложению 1.

Коллегии Минпроса и Минторга ГССР и Правления Цекавшири, соответствующие РК профсоюзов по представлению жюри конкурса подводят окончательные итоги конкурса и определяют победителей в срок до 10 мая каждого года.

### IV. Поощрение победителей смотра-конкурса

Победители коллективов школ и предприятий общественного питания, добившиеся лучших результатов в выполнении условий смотра-конкурса, награждаются почетными грамотами Министерства торговли ГССР, Министерства просвещения ГССР, Правления Цекавшири, республиканских комитетов профсоюзов торговли и работников просвещения, высшей школы и научных учреждений.

Отдельные руководители и работники торгующих организаций органов народного образования, школ, профсоюзных и родительских комитетов, внесших наибольший вклад

в развитие сети столовых и совершенствование организации питания учащихся, также могут представляться к награждению Почетными грамотами Минторга ГССР и РК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений.

Работа школьных столовых оценивается по 100-бальной системе.

1 .Приготовление высококачественных блюд, постоянный контроль за соблюдением технологии обработки продуктов, норм их закладки — 10 баллов;

2. Широкое использование в приготовлении блюд овощей, картофеля, молочных продуктов и рыбы — 5 баллов;

3. Внедрение недельного или десятидневного меню завтраков и обедов, ассортимент блюд по дням недели — 10 баллов;

4. Организация двухразового горячего питания учащихся групп продленного дня — 10 баллов;

5. Бесперебойное снабжение столовых продуктами в необходимом ассортименте, в соответствии с меню — 5 баллов;

6. Обеспеченность посадочными местами по нормативам — 10 баллов;

7. Соблюдение санитарно-технических условий содержания помещения и оборудования — 10 баллов;

8. Отсутствие нарушений правил торговли и жалоб — 5 баллов;

9. Выполнение плановых показателей — 5 баллов;

10. Обеспечение 60%-ов охвата горячим питанием контингента школьников и 100%-ов учащихся школ продленного дня — 10 баллов;

11. Участие в социалистическом соревновании, выполнение обязательств — 5 баллов;

12. Оснащенность оборудованием, мебелью, инвентарем — 5 баллов;

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. Дежурство в столовой учителей и членов родительского комитета — 5 баллов;

За инициативу школьной администрации или работников общественного питания по улучшению организации горячего питания учащихся установлено дополнительно — 10 баллов;

**Примечание:** если более 60%-ов контингента учащихся будут обеспечены горячим питанием, баллы добавляются пропорционально, если же горячее питание получают менее 60%-ов учеников, баллы пропорционально уменьшаются. Работа столовых с охватом менее 40% учащихся — не оценивается.

Победившими в смотре-конкурсе считаются коллективы предприятий общественого питания и общеобразовательных школ, полностью выполнившие условия конкурса, добившиеся высоких показателей в работе.

Для поощрения коллективов общественного питания и общеобразовательных школ, добившихся наилучших результатов в выполнении условий республиканского смотра-конкурса, учреждаются премии:

две первые — по 300 рублей каждая

четыре вторых — по 200 рублей каждая

и шесть третьих — по 150 рублей каждая

Размер премии на одного работника установить в пределах от 30 до 60 рублей.

Премирование работников общественного питания производится за счет средств Министерства торговли Грузинской ССР и Правления Цекавшири из соответствующего фонда, а работников общеобразовательных школ — за счет Министерства просвещения Грузинской ССР.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Приложение 1
к Положению о проведении смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ Минпроса ГССР

Для окончательного подведения итогов смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательной школы и определения победителей конкурса представляется Минторгу ГССР решение смотровых комиссий по следующей примерной схеме:

## РЕШЕНИЕ

**о подведении итогов смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ**

________________________________________

(наименование области, края, республики)

за ——————————год « »————————198 г.

В смотре-конкурсе на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ приняло участие . . . . . . . . коллективов школ и столовых.

В результате смотра-конкурса введено в действие . . новых столовых и буфетов на . . посадочных мест, намечено построить дополнительно . . . столовых на . . мест, капитально отремонтировано и реконструировано . . . столовых и буфетов на . . мест. Количество учащихся, получающих горячее питание, увеличилось за период смотра на . . . человек и достигло . . . человек из общего количества учащихся, или . . . %.

Победителями смотра-конкурса признаны коллективы

________________________________________

(полное наименование школ и столовых, обеспечивших выполнение условий смотра-конкурса)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Просить Минторг ГССР, Правление Цекавшири, Минпрос ГССР, РК профсоюза торговли и РК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений:

1. Наградить Почетными грамотами следующих работников принявших наиболее активное участие в организации и проведении смотра-конкурса;

2. За высокую культуру обслуживания и качество приготовляемых блюд премировать денежными премиями;

3. За активное участие в смотре-конкурсе и внесение наибольшего вклада в развитие и улучшение материально-технической базы школьных столовых премировать денежными премиями следующих работников:

| Фамилия, имя, отчество | Занимаемая должность | Размер премии |
| --- | --- | --- |

**Подпись:**
**Председатель смотровой комиссии**

**Согласовано:**

**Председатель (секретарь) горкома (райкома) профсоюза торговли и потребительской кооперации**

**Председатель горкома (райкома) работников просвещения, высшей школы и научных учреждений**

**Материал**

К решению прилагается по каждому коллективу-бопедителю смотра-конкурса согласно приложению № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение 2

к Положению о проведении смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ Минпроса ГССР

# ПРЕДСТАВЛЕНИЕ

## по итогам смотра-конкурса на лучшую школьную столовую (на каждое предприятие)

(наименование школьной столовой с указанием торгующей организации

которой подчинена)

(адрес столовой)

(наименование школы, которую обслуживает столовая)

Начальник торга . . . . . . . . . . . . .
Заведующий столовой . . . . . . . . . . .
Председатель месткома, профорг . . . . . . . .
(подчеркнуть)

Директор школы . . . . . . . . . . . .
Председатель месткома профсоюза школы . . . . .
Количество мест в столовой по норме . . . . . .
фактически . . . . . .
Количество работников столовой . . . . . . чел.
Количество учащихся — всего . . . . . . . чел.
Из них в максимальную смену . . . . . . чел.
Получают организованное питание в столовой . . чел.
% охвата питанием: с 1-7 классы . . .
с 7-10 классы . . .
Наличие чайного, витаминного стола, стола саморасчета.
стола заказов . . . . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

Количество учащихся в группах продленного дня . . . . . . . . . . групп/чел.
Количество питающихся по абонементам . . . . чел.

**Выписка их бухгалтерской и статистической отчетности**

| №№ п п | Показатели | Единица | Год | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | план | факт | % |
| 1 | Выполнение плана товарооборота: | тыс. руб. | | | |
| 2 | Выполнение плана по выпуску продукции собственного производства: | тыс. руб. | | | |
| 3 | Удельный вес собственной продукции | % | | | |
| 4 | Наличие растрат и хищений | руб. | | | |
| 5 | Использование для улучшения питания учащихся продукции учебно-опытного участка и подсобного хозяйства школы | руб. | | | |
| 6 | Использование средства из Госбюджета на бесплатное и льготное питание | руб. | | | |

**Примечание:** текстовая часть представления должна отражать проведенную работу по выполнению всех показателей условий смотра-конкурса.

К представлению прилагаются:

справка санэпидстанции о санитарном состоянии столовой и об отсутствии случаев пищевых отравлений;

справка Госторгинспекции об отсутствии нарушений правил торговли; отзыв родительского и местного комитетов школы о работе предприятия общественного питания.

**Началник торга** **Директор школы**

**Председатель месткома школы** **Главный (старший) бухгалтер торга**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение 3

## Жюри республиканского смотра-конкурса на лучшую организацию общественного питания учащихся общеобразовательных школ

**Председатель:**

Чкония В. И. — начальник Управления общественного питания Министерства торговли Грузинской ССР

**Члены жюри:**

Андриадзе Г. Г. — заместитель начальника Управления общественного питания Цекавшири

Гигаури Л. Н. — секретарь Республиканского комитета профсоюза работников госторговли и потребительской кооперации

Вардосанидзе Г. Г. — секретарь Республиканского комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений

Маградзе Т. Б. — начальник Управления воспитательной работы и кадров Министерства торговли ГССР

Морозова Н. А. — ведущий инженер-технолог Управления общественного питания Министерства торговли ГССР

Чинчаладзе В. И. — заведующий отделом школьного питания Методического центра Министерства просвещения ГССР

Гозалишвили З. Н. — заместитель начальника Отдела общепита Тбилгорисполкома

Гудушаури Г. И. — старший инженер Управления общественного питания Цекавшири

Гогичаишвили Н. М. — методист отделения школьного питания Методического центра Минпроса ГССР

Тварелидзе Т. Г. — инженер-технолог Управления общественного питания Цекавшири

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 აგვისტოს

## გადაწყვეტილება

**სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში.

რესპუბლიკაში ძირეულად გაუმჯობესდა მასწავლებელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით სოფლის მასწავლებელთათვის 1976 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 420 კვ. მეტრი, 1977 წელს 280 კვ. მეტრი, 1978 წელს — 1100 კვ. მეტრი, 1979 წელს 2118 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლები, რაც 1018 კვ. მეტრით მეტია გასულ წელთან შედარებით. 1980 წლის ბოლოსათვის ამავე სახსრებით გათვალისწინებულია 2.460 კვ. მეტრი ფართობის 23 ორბინიანი მასწავლებელთა სახლის მშენებლობის დამთავრება (დანართი № 1).

ყოველწლიურად კლებულობს სოფლად დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვი. თუ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა 5205 ახალგაზრდა მასწავლებელი, 1979—1980 სასწავლო წელს მათი რიცხვი შეადგენდა 894-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგრძნობლად მოიმატა საკუთარ და კომუნალურ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა რიცხვმა (1978 წელს 38.691 მასწავლებელი, 1979 წელს 43.818, ანუ 5.117-ით მეტი და ა. შ.).

გასულ წლებთან შედარებით დამაკმაყოფილებლად წარმოებს ინდივიდუალური მეურნეობის მოსაწყობად მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა ქ. ჭიათურის, გორის, ზესტაფონისა და საგარეჯოს რაიონებში.

გაუმჯობესდა სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურება. თუ 1978 წელს ამ მიზნით გაღებული ხარჯები 1974 წელთან შედარებით გაიზარდა 287 ათასი მანეთით, ანუ 16.4%-ით, 1979 წელს ეს ხარჯები გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა 317,3 ათასი მანეთით, ანუ 18,2 %-ით (დანართი № 2).

დამაკმაყოფილებელია სოფლის მასწავლებელთა სამედიცინო, საკურორტო-სანატორიული მომსახურება. ყოველწლიურად სახელმწიფო მათთვის გამოყოფს სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის 2500 საგზურს. 1979 წელს საგზურებით ისარგებლა 2.583 სოფლის მასწავლებელმა, ხოლო 1980 წელს 2583-მა. სათანადო ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, განათლების სისტემაში მომუშავე დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და, განსაკუთრებით, ომის ინვალიდთა კომუნალური მომსახურებისა და მათთვის დაწესებული შეღავათების გამოყოფის საქმეს. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და რესპუბლიკის სხვა რაიონებში სკოლების ერთწყებიან სწავლებაზე გადასვლამ, რაც განპირობებულია მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებით, საგრძნობლად შეუწყო ხელი სოფლის მასწავლებელთა შრომის ნორმალიზაციას, თვითგანათლებისათვის თავისუფალი დროის გამოყოფასა და უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმას, სადაც ამჟამად სწავლობს 2092 მასწავლებელი (ოჩამჩირის, გორის, თელავისა და რესპუბლიკის რიგი რაიონები). ისინი, ვინც ცოდნას იმაღლებს წარმოებიდან მოუწყვეტლივ, სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით.

ამასთანავე, სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მეათე ხუთწლედში გეგმით გათვალისწინებული 71,2 ათასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობის ნაცვლად, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოყოფილია 31,5 ათასი კვ. მეტრი ფართობის ლიმიტი, რის გამო 1979 წელს ვანის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროსა და თიანეთის რაიონებში დაგეგმილი 563 კვ. მეტრი ფართობის 8 ორბინიანი მასწავლებელთა სახლიდან 1978 წელს არც ერთი არ აშენებულა, ხოლო აჭარის ასსრ 304 კვ. მეტრის ნაცვლად ექსპლოატაციაში გადაეცა 144 კვ. მეტრი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საინიციატივო წესით 1979 წელს მხოლოდ თერჯოლის რაიონის საბჭოთა მეურნეობამ ააშენა და ექსპლოატაციაში გადასცა 115 კვ. მეტრი ფართობის ერთი მასწავლებელთა სახლი.

სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გაწეული მუშაობის მიუხედავად მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 9,3% ჯერ კიდევ დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. მაგალითად: ახალციხის რაიონის სოფლის 557 მასწავლებლიდან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს 127 ანუ 22,8%, ყაზბეგის რაიონის 108 მასწავლებლიდან 25 ანუ 23,1%, ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ჭიათურის, ახმეტის, გორის, დუშეთის, დმანისის, ქარელის, წალკისა და წალენჯიხის რაიონებში (დანართი № 3).

არაკანონიერია ზოგ შემთხვევაში სასოფლო საბჭოების მოქმედებაც, რომლებიც დახმარების ნაცვლად თავად არღვევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად: ცხაკაიის რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს უკვე რამდენიმე წელია უკავია მასწავლებლის სახლი, მაშინ, როდესაც ამ სოფელში სამუშაოდ ჩამოსული მასწავლებლები დაქირავებულ ბინებში ცხოვრობენ.

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის რვაწლიანი სკოლის 12 მასწავლებელი დაქირავებულ ბინებში განაგრძობს ცხოვრებას. ისინი კვლავ 30-40 მანეთს უხდიან ბინის მეპატრონეებს.

მარნეულის რაიონის სოფელ შულავერის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ა. ხაჩიროვა წლების მანძილზე დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა და ითხოვდა მასწავლებელთა სახლში ერთი ოთახის გამოყოფას, რომელიც დაკავებული იყო სპორტული ინვენტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით. განათლების განყოფილებამ კი ე. ხაჩიროვას თხოვნა მხოლოდ სამინისტროს უშუალო ჩარევის შემდეგ დააკმაყოფილა.

მასწავლებელ გ. ზაბუნიანს, რომელიც ცხოვრობდა კერძო ბინაში, სოფელ მეხადირის სასოფლო საბჭომ (გაგრის რაიონი) 1979 წლის ივნისის თვიდან არ გადაუხადა ბინის ქირა. აქაც მხოლოდ სამინისტროს მითითების შედეგად იქნა დაკმაყოფილებული განმცხადებლის თხოვნა.

საცხოვრებლად უვარგისია ადრე აგებული მასწავლებელთა სახლები ზუგდიდისა და დუშეთის რაიონებში, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო შეკეთებას ან ახლის აგებას. მასწავლებელთა სახლების მშენებლობას საჭიროებენ, აგრეთვე, გარდაბნის, თჩამჩირის, დმანისის; წალკისა და სამხრეთ ოსეთი ა/ო რაიონები; რემონტის ჩატარებას კი ცხაკაიის რაიონის სოფლების გეჯეთის, ეკის, ნოსირის, ციხეთის, ფოცხის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პედაგოგთა საცხოვრებელი სახლების შერემონტების საქმეს სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს და სოფელ ხირსის საბჭოთა მეურნეობები, რის გამოც სოფლების ბოდბის, ულიანოვკისა და საქობოს ტერიტორიაზე მცხოვრები მასწავლებლები იძულებულნი არიან საკუთარი დანაზოგით ჩაატარონ ბინების რემონტი. შეუფერებელ და გაურემონტებელ ბინებში ცხოვრობს თვით სოფელ ხირსის რვაწლიანი სკოლის 11 მასწავლებლის ოჯახი.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ რიგი რაიონების (ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, ბოგდანოვკა, ლანჩხუთი, ლენინგორი, ხესტაფონი, თეთრიწყარო, ქარელი, ოჩამჩირე, ხულო, შუახევი, ქედა, ჯავა, ცხინვალი, ზნაური) მასწავლებელთა უმრავლესობა არ მარაგდება სათბობით, ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომების მიერ კომუნალური მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. მაგალითად: მიმდინარე სასწავლო წელს გარდაბნის რაიონში მხოლოდ ახალსამგორის სასოფლო საბჭომ მიუზიდა სათბობი მასწავლებლებს. ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ოჩამჩირის რაიონის სოფლების აძიუბის, კუტოლის, ტამიშის, ჩლოუს, კინდღის, რეკისა და არასაძი-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ხის სასოფლო საბჭოებიც, სადაც მასწავლებლები იძულებულნი არიან თვითონ მოზიდონ სათბობი ზამთრისათვის. დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის საშუალო სკოლის ადგილობრივ მასწავლებლებს 1973 წელს 4 კბ. მეტრი შეშის ნაცვლად მიეზიდათ მხოლოდ 2 კბ. მეტრი. სოფლებში საზანო, ზოვრეთი, საქარა და ალაკერდი მცხოვრებ მასწავლებლებს საწვავის მიზიდვა უხდებათ საკუთარი სახსრებით, რაც ხშირ შემთხვევაში აღემატება საწვავის ღირებულებას. თეთრიწყაროს რაიაღმასკომის მიერ კომუნალური მომსახურებისათვის დადგენილი ნორმების მიუხედავად, მასწავლებლებს სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში არ ეძლევათ სათბობის კუთვნილი ხარჯები. ბოგდანოვკისა და ლანჩხუთის რაიონებში მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საქმე წლების განმავლობაში მოუგვარებელი რჩება იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოები არ ფინანსდებიან კუთვნილი თანხით. სახალხო დეპუტატების ცხინვალის, ჯავისა და ზნაურის რაისაბჭოების აღმასკომებმა 1979 წელს გამოყვეს 975 ტონა ქვანახშირი, მაგრამ სასოფლო საბჭოებმა ქვანახშირი არ აითვისეს და არ მიუზიდეს მასწავლებლებს. სათბობით მასწავლებლები დროულად ვერ უზრუნველყო, აგრეთვე, ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს სასოფლო საბჭომ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზნაურის, ცხინვალის, ჯავის, ბოლნისის, დმანისის და ლანჩხუთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა საკითხი ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ რამდენჯერმე დასვეს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე, მაგრამ შედეგს ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს.

ადიგენის, გარდაბნის, დმანისის, ლენტეხის, მესტიის, საჩხერისა და სხვა რაიონებში ნაკლებად ზრუნავენ ჩამოსულ მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთებისა და სათიბი საძოვრების გამოყოფისათვის. ამიტომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მხოლოდ 1980 წლის 6 თვის მანძილზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 30 საჩივარია შემოსული. ქ. ტყიბულის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა მხოლოდ განათლების სამინისტროს ჩარევის შემდეგ გამოუყო მიწის ნაკვეთი სოფელ მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. ბ. აბესაძეს; გარდაბნის რაიონის სოფელ კარაჯალარის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ი. ისა-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ევს, ა. საფაროვსა და ს. სოფიევს; დმანისის რაიონის სოფელ ქვემო ბაზაკლოს საშუალო სკოლის მასწავლებელ მ. ალიევს, რომლის საცხოვრებელი სახლი მეხის ჩამოვარდნამ გაანადგურა; იმავე რაიონის სოფელ ამამლოს საშუალო სკოლის მასწავლებელ ა. ბ. ისაევს, რომელიც მამისეულ სახლში საცხოვრებელი პირობების დიდ სივიწროვეს განიცდიდა; ქარელის რაიონის სოფელ აგარის საშუალო სკოლის მასწავლებელ დ. შ. კოჭლამაზაშვილს, რომელიც მცირეწლოვან შვილებთან ერთად ნაქირავებ ბინაში აუტანელ პირობებში ცხოვრობდა, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს საშუალო სკოლის მასწავლებელ მ. მ. ალიევს; მესტიის რაიონის სოფელ ბერჩოს საშუალო სკოლის მასწავლებელ კვიციანს და სხვა.

თანხის უქონლობის გამო ვერ ისარგებლეს (გასული წლის მსგავსად) სახელმწიფო ბანკის კრედიტით ისევ ასპინძის, ახმეტის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, წითელწყაროს მასწავლებლებმა; მიმდინარე სასწავლო წელს კი აბაშის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დუშეთის, ლენტეხის, ონის, სამტრედიისა და აჭარის ასსრ რაიონების მასწავლებლებმა (დანართი № 4).

კვლავ საგრძნობი სიძნელეებია მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეშიც. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ აწარმოებენ სახელმწიფო ფასებში მათ მიყიდვას. ხულოსა და შუახევის რაიონების 20-მდე სოფელში კვლავ არ ცხვება პური.

სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის არასათანადო პირობების შექმნამ განაპირობა, ძირითადად, მასწავლებელთა კადრების დენადობის მომატება რესპუბლიკაში. მაგალითად: 1978 წლის 1 ოქტომბრიდან 1979 წლის 1 ოქტომბრამდე რესპუბლიკის 47909 სოფლის მასწავლებლიდან სამუშაო თვითნებურად მიატოვა 30-მა (დანართი № 5), ხოლო დროის ამავე მონაკვეთში დანიშნულ მასწავლებელთა რიცხვი აბაშის, ახალციხის, ახმეტის, გეგეჭკორის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძისა და წალკის რაიონებში აღემატება საერთოდ დანიშნულ მასწავლებელთა რიცხვს (დანართი № 6).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის სკოლების

მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ განუხრელად შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების განათლების განყოფილებებმა კვლავაც განუხრელად იხელმძღვანელონ სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებებით, უზრუნველყონ ამ დადგენილებათა შესრულება, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტებშია მოცემული.

1.1. მიმდინარე წლის დამლევამდე კოლეგიის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შეისწავლონ და განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად გახადონ სოფლის სკოლის მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და თანმიმდევრულად იზრუნონ მათი განხორციელებისათვის.

1.2. სათანადო ყურადღება დაუთმონ სოფლად ახალგაზრდა სპეციალისტთა მორალური სტიმულირების, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

1.3. მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების დაცვაზე. პერიოდულად შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და გახადონ მსჯელობის საგნად. სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

1.4. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ფართო მონაწილეობას სოფლის მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საქმეში.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესების მიზნით დაავალოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

2.1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით უზრუნველყონ სოფლის მასწავლებლები მიწის ნაკვეთებით.

2.2. გაუწიონ დახმარება მასწავლებელთა ბინებისა და მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების რემონტის ჩატარებაში; ინდივიდუალური ბინების მშენებლობისა და საცხოვრებელი სადგომების შეკეთება-გარემონტებისათვის.

3. დაავალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

3.1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკებისათვის გამოყოს სახელმწიფო ბანკის კრედიტი ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის მოადგილე** **ზ. ლომიძე**

შენიშვნა: დანართები იხილეთ რუსული ტექსტის ბოლოს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### О создании надлежащих условий работы и быта учителям сельских школ республики в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1973 года «О мерах по дальнейшему улучшению условий работы сельских школ»

**22 августа 1980 года**

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что отделами народного образования районов республики проведена определенная работа по созданию соответствующих условий работы и быта учителей сельских школ в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1973 года «О мерах по дальнейшему улучшению условий работы сельских школ».

В республике коренным образом улучшились условия труда и быта учителей. В 1976 году для учителей сельских школ построено за счет государственных капвложений и сдано в эксплуатацию жилых домов площадью 420 кв. метров, в 1977 году — 280 кв. метров, в 1978 году — 1100 кв. метров, в 1979 году — 2118 кв. метров, что на 1018 кв. метров больше, чем в 1978 году. Предусмотрено завершить к концу 1980 года строительство 23 двухквартирных домов на 2.460 кв. м. (см. приложение № 1).

Из года в год сокращается число молодых специалистов, проживающих на частных квартирах. Если за последние 3 года 5205 молодых учителей проживали в наемных квартирах, в 1979—1980 учебном году число их составляет 894.

Значительно увеличилось число учителей, проживающих в собственных и коммунальных квартирах (в 1978 г. 38.691 учитель, в 1979 году 43.318, т. е. больше на 5117 и т. д.).

По сравнению с прошлыми годами удовлетворительно проходит выделение земельных участков учителям для индивидуальных хозяйств в г. Чиатура, Горийском, Зестафонском и Сагареджойском районах.

Улучшено коммунальное обслуживание сельских учителей. Если в 1978 году для этой цели расходы по сравнению с 1974 годом возросли на 287 тысяч рублей, т. е. на 16,40%, в 1979 году эти расходы возросли по сравнению с прошлым годом на 317,3 тыс. рублей, т. е. на 18,2% (приложение № 2).

Удовлетворительно ведется медицинское, санитарно-курортное обслуживание сельских учителей. Ежегодно для них государство выделяет 2500 путевок санаторий и домов отдыха. В 1979 году путевками воспользовались 2500 сельских учителей, а в 1980 году — 2583 человека. Соответствующее внимание уделяется также делу коммунального обслуживания и предоставления установленных льгот участникам и особенно инвалидам Великой Отечественной войны, работающим в системе просвещения. Переход школ на односменное обучение в Абхазской и Аджарской АССР и других районах республики, обусловленный улучшением их материальной базы, содействовал нормализации труда сельских учителей, выделению свободного времени для самообразования и зачислению в вуз на заочные отделения, где ныне обучаются 2092 учителя (Очамчирский, Горийский, Телавский и другие районы республики); учителя, повышающие знания без отрыва от производства, пользуются предусмотренными законом льготами.

Вместе с тем, в деле обеспечения сельским учителям должных условий работы и жизни все еще имеют место серьезные недостатки.

Вместо предусмотренного планом десятой пятилетки строительства жилых домов учителей и школьных интернатов на 71,2 тыс. кв. метров, Госплан Грузии выделил лимит лишь на 31,5 тыс. кв. метров, вследствие чего в 1979 году Ван-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ским, Казбегским, Орджоникидзевским, Тетрицкаройским и Тианетским районами из запланированных 8 двухкомнатных учительских домов общей площадью 563 кв. метра, ни один не построен, а в Аджарской АССР вместо 304 кв. метров сдано в эксплуатацию 144 кв. метра.

Следует отметить, что в инициативном порядке в 1979 году лишь совхоз Терджольского района построил и передал в эксплуатацию один дом для учителей на 115 кв. метров.

Несмотря на проделанную работу по строительству жилых домов для учителей сельских общеобразовательных школ, 9,3% общего числа учителей все еще проживают в наемных домах. Например, из 557 сельских учителей Ахалцихского района в наемных квартирах проживают 127 или 22,8%, в Казбегском районе из 108 учителей 25 или 23,1%. Аналогичное положение в г. Чиатура, Ахметском, Горийском, Душетском, Дманисском, Карельском, Цалкском и Цаленджихском районах (приложение № 3).

Незаконны порой действия некоторых сельских советов, которые вместо помощи, сами нарушают установленный порядок. Например, уже несколько лет Накалакевский сельский совет Цхакаевского района занимает учительский дом, в то время, когда приезжие учителя этого села проживают в наемных квартирах. 12 учителей Марткопской восьмилетней школы Гардабанского района продолжают проживать в наемных квартирах, выплачивая домовладельцу 30-40 рублей.

Учительница Шулаверской средней школы Марнеульского района Е. А. Хачирова, проживающая в течение ряда лет на наемной квартире, требовала предоставления ей одной комнаты в учительском доме, которая была занята спортивным инвентарем, но просьба ее была удовлетворена лишь после вмешательства Минпроса ГССР.

Сельсовет с. Мехадзири Гальского района с июня 1979 года не выплатил за наем квартиры учителю Г. Забунян и

ეროვნული
ბიბლიოთეკა

здесь, также, после вмешательства Министерства было удовлетворено требование заявителя.

Срочного ремонта требуют давно построенные учительские дома в Зугдидском и Душетском районах. В строительстве жилых домов для учителей нуждаются, также, Гардабанский, Очамчирский, Дманисский, Цалкский и районы Юго-Осетии, а в проведении ремонта — жилые дома учителей с. с. Геджети, Эни, Носири, Цихети, Поцхо Цхакаевского района. Мало внимания уделяют ремонту учительских жилых домов Квемо Мачхаанский сельский совет Сигнахского района и Хирский совхоз, вследствие чего учителя, проживающие на территории сел Бодбе, Ульяновка и Сакобо вынуждены проводить ремонт за счет собственных сбережений. В непригодных для жилья и неотремонтированных помещениях проживают 11 учительских семей села Хирса.

Особенно тревожит то обстоятельство, что большинство учителей ряда районов (Болниси, Дманиси, Богдановка, Ланчхути, Ленингори, Зестафони, Тетрицкаро, Карели, Очамчире, Хуло, Шуахеви, Кеда, Джава, Цхинвали, Знаури) не снабжается топливом, а выделяемые исполкомами сельских советов на коммунальное обслуживание средства даже минимально не удовлетворяют их потребность. Например, в текущем учебном году в Гардабанском районе только Ахалсамгорский сельсовет обеспечил подвоз топлива учителям. Мало заботятся об улучшении условий труда учителей сельские советы сел Адзюба, Кутоли, Тамиши, Члоу, Кинда, Река и Арасадзиха Очамчирского района, где учителя вынуждены сами заниматься подвозом топлива на зиму. Местным учителям Гомаретской средней школы Дманисского района в 1973 году ,вместо 4 куб. метров подвезли только по 2 куб. метра. Учителям, проживающим в селах Сазано, Зоврети, Сакара и Алаверди приходится подвозить топлива на свои средства, что зачастую превышает стоимость топлива. Несмотря на установленные исполкомом Тетрицкаройского рай-

онного совета норм коммунального обслуживания учителей, в последние три года им не выдается полагаемая сумма на топливо. Годами неупорядоченным остается в Богдановском и Ланчхутском районах дело коммунального обслуживания учителей из-за того, что сельсоветы не финансируются полагаемой суммой денег. Исполькомы Цхинвальского, Джавского и Знаурского райсоветов народных депутатов выделили в 1979 году 975 тонн угля, однако сельсоветы не освоили его и не подвезли учителям. Не сумел своевременно обеспечить топливом учителей также Фахральский сельсовет Болнисского района.

Следует отметить и то, что отделы народного образования Знаурского, Цхинвальского, Джавского, Болнисского, Дманисского и Ланчхутского районов несколько раз ставили вопрос об этих недостатках перед исполкомами райсоветов народных депутатов, однако добиться результатов все еще не смогли.

Мало заботятся о выделении земельных участков и пастбищ приезжим учителям в Адигенском, Гардабанском, Дманисском, Лентехском, Местийском, Сачхерском и других районах. Поэтому за 6 месяцев 1980 года в Министерство просвещения ГССР поступило 30 жалоб в связи с этим вопросом. После вмешательства Министерства просвещения ГССР исполком Ткибульского райсовета народных депутатов выделил участок земли учителю Мухурской средней школы В. Б. Абесадзе, учителям средней школы села Караджалари Гардабанского района И. Исаеву, А. Сафарову и С. Софиеву; учителю Квемобазаклойской средней школы Дманисского района М. Алиеву, дом которого пострадал от грозы; учителю Амамлойской средней школы того же района А. Б. Исаеву, т. к. в доме отца, где он проживал было тесно; учителю средней школы села Агара Карельского района Д. Ш. Кочламазашвили, который с малолетними детьми проживал в наемной квартире в невыносимых условиях; учителю Иорму-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ганлойской средней школы Сагареджойского района М. М. Алиеву; учителю средней школы села Бечо Местийского района Квинциани и др.

Из-за отсутствия средств не использовали (как и в прошлом году) кредиты государственного банка учителя Аспиндзского, Ахметского, Боржомского, Тетрицкаройского районов, а в текущем году учителя Абашского, Богдановского, Болнисского, Душетского, Лентехского, Онского, Самтредского районов, а также районов Аджарской АССР (приложение № 4).

Много недостатков в деле снабжения учителей продуктами питания. Колхозы и совхозы не ведут их продажу по государственным ценам, более того, в Хулойском и Шуахевском районах в 20 селах еще не почется хлеб.

Отсутствие соответствующих условий труда и жизни учителей сельских школ обусловили, в основном, увеличение текучести кадров в республике. Например, с 1 октября 1978 года по 1 октября 1979 года из 47909 сельских учителей самовольно оставили работу 30 человек (приложение № 5), за тот же период времени число освободившихся учителей в Абашском, Ахалцихском, Ахметском, Гегечкорском, Душетском, Зестафонском, Зугдидском, Мцхетском, Онском, Орджоникидзевском и Цалкском районах — превышает число назначенных учителей.

В целях неуклонного выполнения постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1973 года «О мерах дальнейшего улучшения условий работы сельских школ, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР решила:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинскому областному и районным отделам народного образования и впредь неуклонно руководствоваться постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР, ЦК компартии Грузии и Совета Министров Грузинской ССР,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

соответствующими приказами Министерств просвещения СССР и Грузинской ССР о дальнейшем улучшении условий работы сельских школ и обеспечить их выполнение.

1.1. До истечения текущего года на основе данного решения коллегии изучить и сделать предметом обсуждения совета просвещения вопрос о создании нормальных условий работы и жизни учителей сельских школ.

1.2. Уделить соответствующее внимание повышению морального стимулирования, творческой инициативы молодых специалистов на селе и созданию им бытовых условий.

1.3. Установить строгий контроль за соблюдением льгот, установленных законодательством для учителей сельских школ. Периодически изучать указанный вопрос, сделав его предметом обсуждения. Представлять соответствующую информацию местным партийным и советским органам.

1.4. При содействии местных партийных и советских органов добиваться широкого участия колхозов и совхозов, предприятий и учреждений в создании сельским учителям нормативных условий работы и жизни.

2. Просить Совет Министров Грузинской ССР в целях дальнейшего улучшения жилищно-бытовых условий учителей сельских школ обязать исполкомы городских и районных советов народных депутатов:

2.1. Обеспечить сельских учителей земельным участком под индивидуальное жилищное строительство.

2.2. Оказывать помощь в проведении ремонта учительских квартир и принадлежащих им жилых домов, в выделении необходимых материалов для индивидуального строительства и ремонта жилищ.

3. Обязать Грузинскую республиканскую контору госбанка СССР:

3.1. В соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1978 года № 71 выделить учи-

телям сельских школ и другим работникам просвещения кредит государственного банка на индивидуальное жилищное строительство.

3.2. Управлению кадров (тов. А. Вачнадзе) установить контроль за выполнением данного решения.

**Председатель коллегии,**
**Заместитель министра** **З. ЛОМИДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение № 1

# СВЕДЕНИЯ

о вводе в эксплуатацию жилых домов учителей сельских школ за 1974—1979 годы (за счет средств государственных капвложений)

1. 1974 год — 2538 кв. м.
2. 1975 год — 1401 кв. м.
3. 1976 год — 420 кв. м.
4. 1977 год — 280 кв. м.
5. 1978 год — 1100 кв. м.
6. 1979 год — 2118 кв. м.

---

Итого за 1974—1979 г. г. — 7857 кв. м.

По плану 1980 года предусмотрено строительство для учителей 23 квартир площадью 2460 кв. м. в следующих районах: Зугдидский, Лагодехский, Махарадзевский, Терджольский, Тетрицкаройский, Цаленджихский, Цителцкаройский, Цхакаевский и Чхороцкуйский районы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение №2

# СВЕДЕНИЯ

## о коммунальном обслуживании сельских учителей и израсходованных на него средствах

1974 год — по плану предусматривалось 1806, 7 тыс. руб., выполнено 1745, 7 т. р. т. е. 96,6%.

1975 год — по плану предусматривалось 1882 тыс. руб., выполнено 20 000 т. р. т. е. 94,1%.

1976 год — по плану предусматривалось 1866,4 тыс. руб., выполнено 1997 т. р. т. е. 93,5%.

1977 год — по плану предусматривалось 1920,3 тыс. руб., выполнечо 1972,2 т. р. т. е. 102,1%.

1978 год — по плану предусматривалось 1991,4 тыс. руб., выполнено 2932,8 т. р. т. е. 102,1%.

1979 год — по плану предусматривалось 2017,6 тыс. руб., выполнено 2063 т. р. т. е. 102,3%.

По сравнению с 1974 годом в 1978 году расходы возросли на 237 тыс. рублей т. е. на 16,4%, а в 1979 году по сравнению с прошлым годом возросли на 317,3 тыс. рублей т. е. на 18,2%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение №3

## СВЕДЕНИЯ

**о количестве учителей, проживающих в наемных квартирах в 1980 году**

1. Ахалцихский район из 557 сельских учителей в наемных квартирах проживают 127 или 22,8%
2. Ахметский район — » — 702 — » — 267 или 38,0%
3. Горийский район — » — 1367 — » — 160 или 11,7%
4. Душетский район — » — 503 — » — 158 или 29,6%
5. Дманисский район — » — 1003 — » — 138 или 13,8%
6. Карельский район — » — 744 — » — 194 или 26,1%
7. Цалкский район — » — 876 — » — 136 или 15,5%
8. Цаленджихский район — » — 683 — » — 126 или 18,4%
9. Казбегский район — » — 108 — » — 25 или 23,1%
10. г. Чиатура — » — 822 — » — 154 или 18,7%

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение № 4

# СВЕДЕНИЯ

## о пользовании учителями республики кредитами государственного банка

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1976 год | пользовались | кредитами | 478 | или | 0,99% | учителей |
| 1977 год | » | » | 683 | или | 1, 4% | » |
| 1978 год | » | » | 742 | или | 1, 9% | » |
| 1979 год | » | » | 339 | или | 0, 6% | » |

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение №6

# СВЕДЕНИЯ

**об учителях, самовольно оставивших работу за период с 1 октября 1978 года по 1 октября 1979 года**

| | | | |
|---|---|---|---|
| Кедский район — | » | 2 | учителя |
| Ленингорский — | » | 1 | » |
| Богдановский — | » | 2 | » |
| Ванский — | » | 1 | » |
| Горийский — | » | 1 | » |
| Душетский — | » | 5 | » |
| Каспский — | » | 3 | » |
| Мцхетский — | » | 9 | » |
| Онский — | » | 2 | » |
| Сачхерский | » | 1 | » |
| Телавский — | » | 1 | » |
| Цаленджихский — | » | 1 | » |
| г. Ткибули — | » | 1 | » |

Итого: 30 учителей

Приложение № 6

# СВЕДЕНИЯ

**о количестве учителей, назначенных и освобожденных с 1 октября 1978 года до 1 октября 1979 года**

| Наименование районов | Назначено | Освобождено |
|---|---|---|
| Абашский район | 22 | 30 |
| Ахалкалакский район | 68 | 75 |
| Ахметский район | 21 | 29 |
| Гегечкорский район | 36 | 44 |
| Душетский район | 20 | 41 |
| Зестафонский район | 34 | 39 |
| Зугдидский район | 72 | 87 |
| Мцхетский район | 30 | 69 |
| Онский район | 23 | 30 |
| Орджоникидзевский район | 9 | 14 |
| Цалкский район | 34 | 44 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 აგვისტოს

# გადაწყვეტილება

**1975—1979 წლებში ჩატარებული ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ აჭარის ასსრ-ში, ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონებში**

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1975—1979 წლებში ჩატარებული ატესტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის აჭარის ასსრ-ში, ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონებში მიზანდასახული მუშაობა ტარდება. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების განყოფილებების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სამუშაო გეგმებში სათანადო ადგილი ეთმობა ამ კატეგორიის მასწავლებლებთან მუშაობის საკითხებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მიზნით ჩატარებული ღონისძიებანი, ძირითადად, შეესაბამება ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ დებულებისა და ამ საკითხებზე არსებული სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, ცალკეული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა და ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობა რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან, რომელთა რაოდენობა 473-ს შეადგენს. მუშაობისათვის შემუშავებულია და განხორციელდა მრავალი ღონისძიება. სისტემატურად ტარდება მიზნობრივი სემინარები და მეთოდური თათბირები, ფართოდ ინერგება კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმა. მუშაობის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნა საკურსო ღონისძიებებში ჩაბმით, იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის ამაღლების საქმეში ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

სათანადო მუშაობა წარმოებს მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარებისა და მის შედეგებზე მუშაობის თაობაზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების, რეკომენდაცია-განმარტებათა შესასრულებლად. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ განხილულია რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებები.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო (ამხ. ვ. წულუკიძე), მასთან არსებული საატესტაციო კომისია (ამხ. ი. შარვაშიძე) სისტემატურად ისმენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიშებს ამ მიმართებით გაწეული მუშაობის თაობაზე. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ისახება ქმედითი ღონისძიებანი.

ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი (დირექტორი ა. იშხნელიძე) ამ კატეგორიის მასწავლებელთათვის აწყობს სემინარებსა და ზონალურ შეკრებებს. ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტები მიცემული რეკომენდაციების ღრმად შესწავლის საფუძველზე დიფერენცირებულ მუშაობას აწარმოებენ თითოეულ მასწავლებლებთან, საქმიან დახმარებას უწევენ სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების მეთოდურ კაბინეტებსა და სკოლებს ამ კატეგორიის მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციაში. ადგილებზე ისმენენ მასწავლებელთა გაკვეთილებს, აძლევენ მათ საქმიან მითითებებს.

ამ მხრივ საკმაო გამოცდილება დააგროვეს მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიკის, პედაგოგიკის (გამგეები ს. კალანდაძე, გ. ჯაში, ა. ერქომაიშვილი, გ. ქათამიძე) კაბინეტებმა. ცალკეული მასწავლებლების მუშაობის შესწავლისა და მათთვის დახმარების გაწევის მიზნით რეგულარულად ტარდება მოწინავე მასწავლებელთა, უფროსი მასწავლებლებისა და მასწავლებელ-მეთოდისტების ღია გაკვეთილები. ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტს აღრიცხული ყავს სკოლების ყველა რეკომენდაციამიცემული მასწავლებელი. ამ კაბინეტის მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად უმრავლესობამ შეასრულა მიღებული რეკომენდაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა კონტაქტები სახალხო განათლების განყოფილებებთან და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან.

სათანადო რეკომენდაციებია შემუშავებული ინსტიტუტის მიერ მასწავლებელთა თვითგანათლების გეგმების სრულყოფის მიზნით.

მიზანდასახულ მუშაობას ეწევიან რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან, აგრეთვე ქ. ბათუმის სახალხო განათლების განყოფილება (ამხ. ლ. ჭანტურია) და საქალაქო მეთოდური კაბინეტი (ამხ. ა. გოგიშვილი).

მარნეულის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 229 მასწავლებელს ატესტაციის შედეგად სხვადასხვა სახის რეკომენდაცია მიეცა. სკოლების ხელმძღვანელობა და სახალხო განათლების განყოფილება მათთან მუშაობას გეგმის შესაბამისად ეწევიან. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებელთათვის ადგილზე ყოველწლიურად აწყობს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. გასულ და მიმდინარე წლებში ეს კურსები 130-მა მასწავლებელმა გაიარა.

გატარებული ღონისძიებანი ერთგვარ დახმარებას უწევს მასწავლებლებს რეკომენდაციების შესრულებაში. რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი ხელმძღვანელობს მათ მუშაობას, უქმნის რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო პირობებს.

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

მახარაძის რაიონში 1978—1979 წლებში ჩატარებული ატესტაციის შედეგად რეკომენდაცია მიიღო 235 მასწავლებელმა.

სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტში სათანადო მუშაობა წარმოებს მასწავლებელთა მიერ მიღებული რეკომენდციების შესრულებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ მახარაძის მე-3 საშუალო სკოლაში საჭირო ყურადღება ექცევა მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად. მიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა რეკომენდაციებმა აამაღლა ზოგიერთი მასწავლებლის პასუხისმგებლობა და გაააქტიურა მათი საქმიანობა.

ლაგოდეხის რაიონში ატესტაციის შედეგების მიხედვით სხვადასხვა რეკომენდაცია მიიღო 143 მასწავლებელმა.

სახალხო განათლების განყოფილება და მეთოდკაბინეტი გარკვეულ მუშაობას ეწევიან მათთან, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა მუშაობა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის.

ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. მაისურაძე, რომელსაც ატესტაციის შედეგად მიღებული ქონდა რეკომენდაცია, სისტემატურად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დონეს, სკოლის მეთოდგაერთიანებაში, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ისმენენ მის ანგარიშებს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე. მასწავლებელი თავისი მუშაობის გამოცდილებას კოლეგებს პრესის საშუალებითაც უზიარებს.

ამასთან ერთად, კოლეგია აღნიშნავს, რომ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის საქმეში ლაგოდეხის, მახარაძის და მარნეულის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სახალხო განათლების განყოფილებებს, მათ მეთოდურ კაბინეტებს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნიათ.

ამ კატეგორიის მასწავლებლებთან მუშაობისათვის არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი, მათ მუშაობაზე სუსტად ხორციელდება კონტროლი და ხელმძღვანელობა, რის გამოც რიგ შემთხვევაში რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობა მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში კვლავ ხასიათდება იმ ნაკლოვანებებითა და სერიოზული დარღვევებით, რაც მათ ატესტაციის ჩატარების პერიოდში ქონდათ.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს ა. ჯავშანაშვილს, რომელსაც ზოგადი საშუალო განათლება აქვს, საატესტაციო დასკვნით უნდა აემაღლებინა კვალიფიკაცია ერთწლიანი დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების გავლით, მაგრამ 1976 წლიდან დღემდე ეს მასწავლებელი კურსებში არ ჩაუბიათ. მის მუშაობაზე არავითარი კონკრეტული დახმარება არ ხორციელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნეულის რაიონის სოფლების ყიზილაჯალოს, თაზაკენდის, ალამამედლოს საშუალო სკოლებში არასაკმარისი ყურადღება ექცევა რეკომენდაციების შესასრულებლად მასწავლებელთათვის სათანადო პირობების შექმნას. სკოლების დირექტორები იშვიათად ისმენენ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა გაკვეთილებს, მათ ანგარიშებს. ამ რაიონის მთელ რიგ სკოლებში სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტები ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ ამ საქმეში სკოლებს ,იშვიათად ისმენენ მასწავლებელთა ანგარიშებს რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე, ამ მიზნით არ გამოიყენება საწარმოო თათბირები, მეთოდგაერთიანებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ღრმად არ აანალიზებენ მიცემულ რეკომენდაციებს და მათი შესრულებისათვის არ ღებულობენ ქმედით ზომებს. სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში ზოგჯერ სრულყოფილად არ გამოიკვეთება რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ღონისძიებანი, ადგილი აქვს ატესტაციის ჩატარების, მის შედეგებზე მუშაობის შესახებ რეკომენდაციამითითებათა დარღვევის შემთხვევებს: მახარაძის რაიონის სოფელ მერიის საშუალო სკოლაში 1976 წელს ჩატარებული ატესტაციის შედეგად რეკომენდაცია მიეცა 4 მასწავლებელს, მაგრამ შემდგომში მათთან მუშაობაზე არავის უფიქრია, რამეთუ რეკომენდაციამიცემული მასწავლებელი ნ. ანდღულაძე ერთი წლის შემდეგ კვლავ გაატარეს ატესტაციაზე და წახალისება მისცეს.

ნაკლები ყურადღება ექცევა მასწავლებელთა თვითგანათლების გეგმების შედგენასა და მათ განხორციელებას. ამ გეგმების საკმაო ნაწილი ერთფეროვანი და ზოგადია.

ნაკლებად გამოიყენება ატესტაციის შედეგად წოდებამინიჭებული და წახალისებული მასწავლებლების გამოცდილება.

თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი უკანასკნელ პერიოდამდე არაკვალიფიციურ დახმარებას უწევდა ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტებს. ინსტიტუტის მუშაობაში არაა გამოკვეთილი რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდი სიძნელეები შეიქმნა აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. რეკომენდაციების დებულების შეუსაბამოდ მიცემის გამო მასწავლებელთა უმრავლსობა ვერ ასრულებს მიღებულ რეკომენდაციებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბმის შესახებ.

სუსტია სახალხო განათლების განყოფილებებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კონტაქტები მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ჯერ კიდევ ვერ დაინერგა მუშაობის პრაქტიკაში კურსებგავლილი მასწავლებლის საქმიანობის შესწავლა და ანალიზი შედეგიანობის დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნული რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში არაა შექმნილი კოლექტიური შემოქმედების, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო, კადრებთან მუშაობის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-17 პლენუმის გადაწყვეტილებანი.

სახალხო განათლების განყოფილებებს და მეთოდურ კაბინეტებს სახელმძღვანელო დოკუმენტად არ გაუხდიათ სსრკ განათლების სამინისტროს რეკომენდაცია-მითითებანი ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 28 მარტის და 1979 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებანი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აღინიშნოს, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები, ამ განყოფილებათა მეთოდური კაბინეტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სწორად წარმართავენ ატესტაციის შედეგების მიხედვით რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობას.

2. ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, მეთოდურმა კაბინეტებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1. მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა ატესტაციის შედეგების მიხედვით რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან. ღრმად შეისწავლონ და გააანალიზონ ატესტაციის შედეგები, მთელი მუშაობა წარმართონ იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, რომლებსაც ადგილი ქონდა მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებაში, ჩატარებასა და მის შედეგებზე მუშაობაში.

2. 2. შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ უფროსი მასწავლებლების და მასწავლებელ-მეთოდისტების მუშაობის მოწინავე გამოცდილება, იზრუნონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისათვის, ყველა მასწავლებელი ჩააბან პოლიტიკურ სწავლებაში, ხოლო სადაც ამის შესაძლებლობაა — პოლიტიკური განათლების უმაღლეს ფორმაში — მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში.

2. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა თვითგანათლების საქმის ორგანიზაციას, გაფართოებასა და გაღრმავებას, შექმნან პირობები, რომ მასწავლებლებმა შეასრულონ მიღებული რეკომენდაციები, აიმაღლონ პედაგოგიური კვალიფიკაცია, სრულყონ სწავლების მეთოდები და ხერხები. ამ მიზნით გააქტიურონ სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებათა და მეთოდური კაბინეტების საქმიანობა.

2. 4. უზრუნველყონ სკოლებში მაღალი მომთხოვნელობა და საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ობიექტურად შეაფასონ მასწავლებელთა მუშაობა, გამოიჩინონ თითოეული მათგანისადმი მზრუნველობა და კეთილსასურველი განწყობილება, შეუქმნან მათ თავისთავზე მუშაობის პირობები, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქ. მოსკოვის მასწავლებელთა თაოსნობის „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ — ისწავლოს, იცხოვროს და იმუშაოს კომუნისტურად!“ მხარდასაჭერად და ცხოვრებაში გასატარებლად.

3. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, შესაბამის საატესტაციო კომისიებსა და მუშა ჯგუფებს ღრმად გააანალიზონ 1975—1980 წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარებული ატესტაციის შედეგები, ახალი, ხუთწლიანი ციკლის ჩატარებისათვის მზადებისას გაითვალისწინონ ის ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებსაც ადგილი ქონდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადების, ჩატარებისა და მის შედეგებზე მუშაობის პერიოდში.

4. დაევალოთ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, თელავის ინსტიტუტებს გააუმჯობესონ მუშაობა რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან, სამუშაო გეგმების შესაბამისად მოაწყონ მათთან კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი, რეგულარულად მოისმინონ სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებათა მეთოდკაბინეტების ანგარიშები ამ კატეგორიის მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე, დახმარება გაუწიონ სკოლებს მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების სრულყოფის საქმეში.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრის
პირველი მოადგილე ზ. ლომიძე

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეცსკოლა-ინტერნატების (სკოლების) ახალი 1980—1981 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესახებ

### 1980 წლის 22 აგვისტო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით სათანაო მუშაობა გასწიეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების (სკოლების) ქსელის რაციონალიზაციის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასკოლო დოკუმენტაციით, სახელმძღვანელოებით, ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალით, მეთოდური ლიტერატურით, პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით, რბილი და მაგარი ინვენტარით, ტრანსპორტით მათი უზრუნველყოფის, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, სასწავლო-საცდელი და დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციის, მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების, ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მიზნითა და სხვა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და სპეცსკოლა-ინტერნატებს (სკოლებს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილების „რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე დიდი დახმარება გაეწია შეფი ორგანიზაციების მიერ. დღეისათვის რესპუბლიკის ყველა ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებას შესაბამისი აღმასკომების დადგენილებებით შეფებად გაპიროვნებული ყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიურად მძლავრი საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. პრაქტიკაში დაინერგა შეფი ორგანიზაციების ანგარიშის მოსმენა გაწეული დახმარების შესახებ.

მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში შემოწმდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა რესპუბლიკის ყველა ინტერნატულ დაწესებულებაში, ხოლო აგვისტოს თვეში 97 მოქმედი ობიექტიდან — 58 დაწესებულებაში.

შემოწმებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ თბილისის უსინათლო, ყრუ, სუსტადმხედველ, სმენადაქვეითებულ, № 1 დამხმარე, რუსთავის სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა, გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა, ახალდაბის, ტაშისკარის, ქობულეთის, ბოდბეს, ლანჩხუთის, საგურამოს, ბათუმის № 2, ქ. ზუგდიდის რაიონის ოთხივე სკოლა-ინტერნატი, ბროწეულას, სამტრედიის სპეცსკოლა, სალხინოს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მახინჯაურის, ატენის, ახმეტის, სოხუმის № 1, განთიადის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატები, ეწერის, რუსთავის, თელავის, კოჯრის № 2, თბილისის № 1 საბავშვო სახლები.

მარტო აჭარის ასსრ ტერიტორიაზე მყოფი სკოლა-ინტერნატების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გაიხარჯა 243 000 მანეთი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით სიღნაღის რაიონის ბოდბეს სკოლა-ინტერნატს დამატებით გამოეყო 80 000 მანეთი.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შეფმა ორგანიზაციებმა საზაფხულო რემონტების ორგანიზაციის საქმეში.

თბილისის უსინათლო და სუსტადმხედველ, მარტყოფის, ატენის, ბათუმის № 2, ზუგდიდის 8-წლიან სკოლა-ინტერნატებში, რუსთავის, კოჯრის № 1 საბავშვო სახლებში სარემონტო სამუშაოები, ძირითადად, შეფების დახმარებით ჩატარდა.

ზუგდიდის რაიონის სკოლა-ინტერნატების კაპიტალურ რემონტებზე შეფმა ორგანიზაციებმა გახარჯეს 300 000 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 404 დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია-გაფართოებითი სამუშაოები რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და ობოლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში. სურამის საბავშვო სახლში მშენებლობის პროცესშია საძინებელი კორპუსი, კოჯრის № 1 საბავშვო სახლში შენდება სასადილო, სამრეცხაო და აბანოს ახალი შენობა. მთლიან რეკონსტრუქციას განიცდის კარდანახის საბავშვო სახლი, რის გამოც განათლების სამინისტრომ ერთი წლის ვადით მოახდინა აღნიშნული ობიექტების კონსერვაცია. თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს უშენდება სასადილო ბლოკი და სასწავლო სახელოსნოები, რუსთავის საბავშვო სახლში დაიწყო აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა, მშენებლობის პროცესშია მარტყოფის სკოლა-ინტერნატისათვის წყალსადენის ინდივიდუალური ქსელი. ყველა აღნიშნული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა ნავარაუდევია 1981 წლისათვის. აღნიშნულ ობიექტებზე 1980 წლის გეგმით გათვალისწინებული თანხები დღეისათვის თითქმის ყველგან ათვისებულია.

საერთო ჯამში რესპუბლიკის 97 ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებას, მარტო კაპიტალური რემონტებისათვის, გამოეყო 1 700 000 მანეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა განათლების სამინისტროს დამატებით გამოუყო საამშენებლო მასალები სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რამაც დიდად შეუწყო ხელი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა სპეცსკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დამთავრდა დამხმარე სკოლა-ინტერნატის მშენებლობა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში (230 აღსაზრდელზე). ქ. თბილისში გაიხსნა მეტყველებადაქვეითებულ ბავშვთა სპეცსკოლა, ექსპლოატაციაში შევა სოხუმის დამხმარე სკოლა 200 აღსაზრდელზე. მომავალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სმენადაქვეითებულ და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის უკვე შეძენილია დიდი რაოდენობით ხმის გამაძლიერებელი კოლექტიური და ინდივიდუალური ხმარების აპარატები.

დიდი ყურადღება ექცევა სპეცსკოლა-ინტერნატების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეს. ახალი სასწავლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლიდან აღნიშნულ ობიექტებზე სამუშაოდ გაიგზავნებიან მოსკოვისა და ლენინგრადის დეფექტოლოგიის ინსტიტუტების კურსდამთავრებული სპეციალისტები. აღმზრდელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიმდინარე წლის ივნისში მოეწყო სპეცსკოლა-ინტერნატების შრომისა და ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სადაც ლექციების წასაკითხად მოწვეული გვყავდა მოსკოვის დეფექტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკები. დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე გადამზადება გაიარეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებმა (5 ჯგუფი).

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, სასწავლო ნივთებით, მოსწავლეთა ფორმებით და სასკოლო ინვენტარით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპეცსახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეს, სპეცსკოლებისათვის გადამუშავდა პროგრამები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ფიზკულტურასა და სხვა საგნებში. ქ. თბილისის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში შეზიდულ იქნა დიდი რაოდენობის ინდივიდუალური ტიპის ავეჯი.

სალიბაურის სკოლა-ინტერნატი გადაკეთდა ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატად.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში, მარტო 1980 წელს გამოყოფილი იქნა 25 ავტომანქანა.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში საბავშვო სახლების დათვალიერებამ, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ჩატარდა მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში.

გაიზარდა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებთან არსებული დამხმარე მეურნეობების რიცხვი. კარგად ცნობილი ბათუმის № 2, რუსთავის, მახინჯაურის, ეწრის სასწავლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებების დამხმარე მეურნეობების გვერდით გამოჩნდნენ ახალი მძლავრი დამხმარე მეურნეობები, რომელთა შორის უპირველესად უნდა გამოვყოთ გურჯაანის, სამტრედიის სპეცსკოლის, ვაშლოვანის, თელავის, კარდანახის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებთან არსებული დამხმარე მეურნეობები. ასე მაგალითად, გურჯაანის სკოლა-ინტერნატის მიერ დამხმარე მეურნეობიდან მიღებული ბაღჩეული საკუთარი ტრანსპორტით შეიზიდა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელ ბანაკებში. უყურადღებოდ არ დარჩნენ არც მოსკოველი პიონერები, რომლებიც საზაფხულო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ატარებდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ახალი სასწავლო წელი გარკვეული ხარვეზებით დაიწყეს თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატმა, კოჯრის № 1 და სურამის საბავშვო სახლებმა. მიზეზი ამისა არის ის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 404 დადგენილებით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები ვერ დასრულდა ახალი სასწავლო წლისათვის, რადგანაც იგი მშენებლობის გეგმაში შეტანილია როგორც გარდამავალი და მათი დამთავრება ნავარაუდევია მხოლოდ 1981 წლისათვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მომზადების საქმეში შეინიშნება სხვა ნაკლოვანებებიც.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად სერიოზულ სიძნელეებს აწყდებიან მოიჯარადრე ორგანიზაციების მოძებნის საქმეში, ხოლო სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ უწევენ მათ ქმედით დახმარებას სარემონტო სამუშაოების ორგანიზაციაში.

გამოყოფილი თანხებისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით სარემონტო სამუშაოების წარმოება, ხშირ შემთხვევაში ,შეუძლებელი ხდება სამშენებლო მასალებით ობიექტების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარაგების საქმეში არსებული შეფერხებების გამო, ხშირია სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების შემთხვევებიც.

აღნიშნული მიზეზების გამო სარემონტო სამუშაოები დროულად ვერ დამთავრდა თბილისის 8-წლიან, ბათუმის № 1, ხულოს, თიანეთის, ახალციხის, კიცხის, მარნეულის, კასპის, ბარისახოს, ლენტეხის, მესტიის რაიონების სკოლა-ინტერნატებში.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების ტრანსპორტით, რბილი და მაგარი ინვენტარით და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფის მხრივაც. არის შემთხვევები, როდესაც სასწავლო ნივთები დიდი დაგვიანებით და არასრული კომპლექტებით ეგზავნება აღნიშნულ სასწავლო-დაწესებულებებს. ხარვეზებია სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების ბიბლიოთეკების ახალი მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში. შემოწმებებით ირკვევა, რომ აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებს ხშირ შემთხვევაში არ აწვდიან „სასკოლო ბიბლიოთეკას" და „ბავშვთა მსოფლიო ლიტერატურის" სერიის წიგნებს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პედაგოგ-აღმზრდელებით დაკომპლექტების მხრივ. არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა კადრები განაწილების მიხედვით არ ცხადდებიან სამუშაოდ. მაგალითად, მიმდინარე წლის 29 აგვისტოსათვის მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში განაწილებული 6 ახალგაზრდა სპეციალისტიდან გამოცხადდა მხოლოდ ერთი, ხოლო ეწერის საბავშვო სახლზე განაწილებული 5 სპეციალისტიდან — 2. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ინტერნატებშიც.

დღეისათვის განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ყველა ღონეს ხმარობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველო

ეროვნული

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

## 1980 წლის 2 სექტემბრის

# გადაწყვეტილება

### მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ქ. მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის შესახებ" სკკპ XXVI ყრილობა აღნიშნონ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში მოპოვებული ახალი წარმატებებით, იმუშაონ დევიზით — „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ ისწავლოს, იცხოვროს და იმუშაოს კომუნისტურად" და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივა „სკკპ XXVI ყრილობა აღნიშნონ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში მოპოვებული ახალი წარმატებებით, იმუშაონ დევიზით — „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ ისწავლოს, იცხოვროს და იმუშაოს კომუნისტურად" (თან ერთვის).

2. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

— მიიღონ ზომები პედაგოგიურ კოლექტივებში მოსკოველი მასწავლებლების ინიციატივის განმარტებისა და განხორციელებისათვის;

— სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივებში ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები პედაგოგიური ოსტატობისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების მიზნით;

— აქტიურად გამოიყენონ შეფი და საბაზო დაწესებულებების დახმარება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების, შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეში;

— მიაღწიონ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლიობას მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან შრომითი კოლექტივები, შემოქმედებითი, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

— პედაგოგიურ კოლექტივებში განიხილონ ქ. მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ინიციატივა სკკპ XXVI ყრილობა აღნიშნონ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული ახალი წარმატებებით;

— განსაზღვრონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების, აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების ეფექტიანი გზები და საშუალებები;

— უფრო აქტიური გახადონ თითოეული მასწავლებლის საქმიანობა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის;

— პედაგოგიურ კოლექტივებში შექმნან შემოქმედებითი შრომის, ამხანაგური ურთიერთდახმარების, გამოუყენებელი რეზერვების ძიების ატმოსფერო;

— უფრო აქტიურად, შემოქმედებითად გამოიყენონ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა;

— აღმზრდელობით მუშაობაში ფართოდ ჩააბან სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ა. გოგელია):

— ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოსკოველ მასწავლებელთა მოწოდებას, განაზოგადონ ცალკეული სკოლის პედაგოგიური კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექტივის, მასწავლებლის, სახალხო განათლების მუშაკის ინიციატივა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის საქმეში;

— სისტემატიურად გააშუქონ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი — ო. ქინქლაძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მიმართვა

## ქ. მოსკოვის სახალხო განათლების ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ახალი სასწავლო წელი იწყება ღირსშესანიშნავ დროს. ქ. მოსკოვის მასწავლებელთა 43-ათასიანი არმია, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, დიდი აღფრთოვანებით ემზადება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყრილობისა, რომელიც დასახავს კომუნისტური მშენებლობის ახალ მიჯნებს.

დედაქალაქის პედაგოგიური კოლექტივების შეუპოვარი და შემოქმედებითი მუშაობა, მიმართული სახალხო განათლების დარგში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, იქცა საყოველთაო საშუალო განათლების შემდგომი განვითარების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების, სახალხო მეურნეობის დარგში მოსწავლეთა შრომისათვის მომზადებისა და პროფესიის შეგნებულად არჩევის მტკიცე საფუძვლად.

ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას ემსახურებოდა მოსკოვის მასწავლებელთა პატრიოტული თაოსნობა — „ყოველ მოსწავლეს — ღრმა და მტკიცე ცოდნა", „სანიმუშო კომუნისტურ ქალაქს — სანიმუშო სკოლები", რიგი სამრეწველო საწარმოების, სკოლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, პროფტექნიკური სასწავლებლების ინიციატივა მოსწავლეთა შრომით აღზრდაში.

ამასთან, ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების სირთულე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება ორ მსოფლიო სისტემას შორის სკოლის წინაშე სისტემატურად აყენებენ ახალ ამოცანებს და ამაღლებენ მომთხოვნელობას ჩვენი მუშაობის შედეგებისადმი.

თითოეული მასწავლებლის სულში ღრმად არის ფესვგადგმული მოსწავლე ახალგაზრდობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვა „ისწავლეთ, რომ იცოდეთ, ისწავლეთ, რომ შეგეძლოთ, ისწავლეთ შექმნათ და იბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ“. ამ სიტყვებში ჩამოყალიბებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივების საქმიანობის ლენინური პროგრამა თანამედროვე ეტაპზე.

შეგნებული გვაქვს რა ჩვენი მაღალი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, მივმართავთ დედაქალაქის ყველა მასწავლებელს და მოვუწოდებთ გაშალონ ფართო მუშაობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის დევიზით — „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ ისწავლოს, იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად“.

კომკავშირის III ყრილობაზე, რომელსაც მიმდინარე წელს უსრულდება 60 წელი, ლენინი ლაპარაკობდა იმის აუცილებლობაზე, რომ განათლებაში დაგვენახა არა მარტო ცოდნის ათვისება, არამედ კომუნისტურ რწმენად მისი გადაქცევა. ჩვენთვის — ლენინელი მასწავლებლებისათვის არაფერია იმაზე უფრო ამაღლებული და კეთილშობილური, ვიდრე ვასრულებდეთ ლენინის ანდერძს.

ვიაროთ ლენინის გზით — ნიშნავს მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რათა ჩვენს აღსაზრდელებს ჩამოვუყალიბოთ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მივაღწიოთ პრაქტიკაში ცოდნის შემოქმედებითად და გააზრებულად გამოყენებას, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლებით აღვზარდოთ კოლექტივიზმის გრძნობა და თვითმმართველობის უნარი.

ვასწავლოთ თითოეულ მოსწავლეს სწავლა — ეს ნიშნავს გავაღვიძოთ მათში წყურვილი და მომთხოვნელობა იმისა, რომ სისტემატურად მუშაობდეს თვითგანათლებისათვის.

ვასწავლოთ თითოეულ მოსწავლეს სწავლა — ნიშნავს ჩამოვუყალიბოთ მათ უნარი დამოუკიდებლად შეივსონ ცოდნა, გაერკვნენ პოლიტიკური, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში.

მუდამ უნდა ვეხმარებოდეთ თითოეულ მოსწავლეს, დაეუფლოს დამოუკიდებელი მუშაობისა და საყოველთაო სწავლების ყველა ფორმას, ვასწავლოთ მოსწავლეებს დაიცვან სასწავლო შრომის რეჟიმი, დააფასონ თითოეული წუთი და რაციონალურად გამოიყენონ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამისათვის ჩვენ ბევრი მუშაობა გვმართებს, სასწავლო მეთოდების სრულყოფისათვის გაკვეთილების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ფაკულტატიური მეცადინეობისათვის, ცალკეულ საგნებში კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მუშაობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ჩვენ მოვუწოდებთ მოსკოვის ყველა მასწავლებელს, მივაღწიოთ შრომითი სწავლების მაღალ დონეს, რათა მოსწავლეთა აღზრდა და პროფორიენტაცია შეესაბამებოდეს ჩვენი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს.

თითოეულ მოსწავლეს ჩამოვუყალიბოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა, მყარი შრომითი ჩვევები, მზადყოფნა, იშრომონ იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა ახალგაზრდული მუშური ძალები, გამოვავლინოთ, განვავითაროთ და განვამტკიცოთ ახალგაზრდა ადამიანში მისი შრომითი მოწოდება — ამაში ვხედავთ ჩვენ მოზარდი თაობის აღზრდის მთავარ მიზანს.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ყველა სასწავლო დისციპლინის შესაძლებლობათა გამოყენება შრომით აღზრდაში, შრომის გაკვეთილზე მეცნიერულ-თეორიული და მეთოდური დონის ამაღლება, დიფერენცირებული მუშაობა მოსწავლეთა პროფორიენტაციაში, რაც დაფუძნებულია მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების, ინტერესების, მიდრეკილებათა და უნარის ღრმა შესწავლაზე. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ მუშათა კადრებზე ქალაქის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება.

ჩვენ შემდგომშიც ყველა ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ კავშირი სკოლებსა და საბაზო ორგანიზაციებთან, პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებთან, ფართოდ გამოვიყენოთ მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო და საწარმოო შრომა, განვავითაროთ ჩვენს აღსაზრდელებში ტექნიკური შემოქმედება და გამომგონებლობა შრომით აღზრდაში, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სასწავლო-მეთოდური კაბინეტები პროფორიენტაციის მიხედვით და შრომითი დიდების მუზეუმები, კვლავაც განვაგრძობთ შეუპოვარ მუშაობას შრომითი სწავლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მას-

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

წავლებელთა წრე შეივსოს სკოლების საუკეთესო აღზრდილებით, ამოვიცნოთ მათში მომავალი ნიჭიერი პედაგოგები, ნათელი გავხადოთ მათი საზოგადოებრივი დანიშნულება, მასწავლებლის პროფესიის ჰუმანიზმი.

ყველა ჩვენთაგანს ღრმად უნდა ქონდეს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

ვზრდით რა ახალგაზრდა მოსკოველებში მაღალ მოქალაქეობრივ და მორალურ თვისებებს, ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ ვ. ი. ლენინს, მის იდეურ მემკვიდრეობას, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დოკუმენტებს, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებს, საიდანაც ვიღებთ ცოდნას, გამოცდილებას, ვპოულობთ პასუხებს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე.

ჩვენი ამოცანაა მოსწავლეებისათვის ნათელი გავხადოთ ისტორიული მნიშვნელობა იმ უდიდესი მუშაობისა, რომელსაც ეწევიან კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, სსრკ ცკ-ის პოლიტბიურო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ღრმად უნდა შთავაგონოთ ჩვენს მოსწავლეებს, რომ იყო „დედაქალაქის მცხოვრები—ეს არის არა მხოლოდ დიდი პატივი, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობა". ვასწავლოთ მათ გაუფრთხილდნენ და გაამრავლონ პარტიისა და ხალხის დიდებული რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქ. მოსკოვის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევაში, გავუღვივოთ მათ მინდობილი საქმისადმი, პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ეს ავალებს პედაგოგიურ კოლექტივებს თანამიმდევრულად განახორციელონ კომპლექსური მიდგომა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისადმი, აქტიურად დანერგონ აღსაზრდელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში „სანიმუშო კომუნისტური ქალაქის მცხოვრების ზნეობრივი პრინციპები".

საჭიროა დაუცხრომლად ავამაღლოთ მიკრორაიონების სკოლების ავტორიტეტი, მოსწავლეთა აღმზრდელობით მუშაობაში ფართოდ ჩავაბათ მეცნიერულ-საგანმანათლებლო, კულტურული, სპორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული და შემოქმედებითი ორგანიზაციები, ყოველ სკოლაში შე-ქმნათ სხვადასხვა სახის წრეები, სპორტული სექციები, გაერთიანებები, რომლებიც სრულად შეესაბამება მოსწავლეთა მრავალმხრივ ინტერესებს, უნარსა და მიდრეკილებებს, ამოცანის — „ვასწავლოთ თითოეულ მოსწავლეს ისწავლოს, იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად“ — წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული მოსწავლეებზე და აქ უდიდესი როლი აკისრია მოსწავლეთა თვითმმართველობას, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ჩვენი ამოცანაა, სისტემატურად ვეუფლებოდეთ მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს და თითოეულ მათგანში ვაყალიბებდეთ საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვევებს. დავეხმაროთ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ცოდნისა და შრომითი საქმიანობისადმი საერთო მისწრაფების ატმოსფეროს შექმნაში, ყოველმხრივ გავაფართოოთ მოსწავლეებში ამხანაგური ურთიერთდახმარების, ორგანიზაციული, სასწავლო და შრომითი საქმიანობის სხვადასხვა კოლექტიური ფორმები.

ჩვენ უნდა მტკიცედ ვაყალიბებდეთ მოსწავლეთა კოლექტივში საზოგადოებრივ შეხედულებებს, ყოველ მათგანში ვზრდიდეთ პასუხისმგებლობას თავის საქმიანობისადმი, შეგნებულ დისციპლინას, კოლექტივის ინტერესებისა და ნებისადმი დამორჩილების უნარს.

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ თითოეული პიონერული და კომკავშირული კოლექტივი ზრდიდეს მოსწავლეებში შრომისმოყვარეობას, სიმართლისმოყვარეობას, პატიოსნებას, კეთილშობილებას, ინიციატივას.

დევიზის „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ ისწავლოს, იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად“ განხორციელება გვავალებს სისტემატურად ვიზრუნოთ და სრულვყოთ ოჯახური აღზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტის უპირველეს საშუალებას ვხედავთ სკოლისა და ოჯახის ურთიერთკავშირში, რომელიც დამყარებულია მათ ურთიერთნდობაზე, საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის მიმართ ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნილების გატარებაზე, პედაგოგიური პროპაგანდის დონის სისტემატურ ამაღლებაზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცებაზე, ოჯახისა და სკოლის ურთიერთქმედების საბჭოებისა და მშობელთა ყოველ-

მხრივი პასუხისმგებლობის როლის გაზრდაზე. ბავშვთა აღზრდის საქმეში ჩვენ გველის დიდი და საპასუხისმგებლო სამუშაო.

ჩვენზე — მასწავლებლებზე არის დამოკიდებული, როგორები გახდებიან შთამომავლები, როცა დაადგებიან დამოუკიდებელი ცხოვრების გზას, როცა ჩაერთვებიან უფროსებთან თანასწორ შემოქმედებით შრომაში მშვიდობის პროგრესისა და კომუნიზმის სასარგებლოდ. დევიზის „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ, ისწავლოს, იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად“ განხორციელებისათვის საჭიროა სისტემატურად ვსწავლობდეთ და ვეუფლებოდეთ პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, მივაღწიოთ, რომ ყოველი პედაგოგიური კოლექტივი იძლეოდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის რაციონალური ორგანიზაციის, საქმისადმი პასუხისმგებლობისა და შემოქმედებითი დამოკიდებულების მაგალითს, იყოს უკიდურესად მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, თავისი შრომის შედეგებისადმი, თავისი ცხოვრების ყოველი დღით ამტკიცებდეს იმას, რომ უფლება აქვს ასწავლიდეს სხვას.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომპარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახული ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მხოლოდ სკოლების, მშობლების, პედაგოგიური მეცნიერების, შრომითი კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის ერთიანი ძალებით, ჩვენ მოვუწოდებთ დედაქალაქის ყველა მცხოვრებს, აქტიურად დაეხმარონ სკოლას მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში.

მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით მოვუწოდებთ ჩვენს კოლეგებს, დედაქალაქის განათლების მუშაკთა 43-ათასიან არმიას ჩაებას პატრიოტულ თაოსნობაში „თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ ისწავლოს, იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად“ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების საქმეში.

**ოქტომბრის რაიონის 46-ე,**
**კიევის რაიონის 67-ე,**
**კუნცევოს რაიონის 71-ე,**
**კრასნაია პრესნიას რაიონის 73-ე,**
**ჩერემუშკის რაიონის 121-ე,**
**ფრუნზეს რაიონის 146-ე,**
**ლიუბლიანის რაიონის 331-ე,**
**საბჭოთა რაიონის 667-ე,**
**ჟდანოვის რაიონის 465-ე,**
**ვოლგოგრადის რაიონის 785-ე,**
**კრასნოგვარდეისკის რაიონის 872-ე და**
**პეროვის რაიონის 889-ე სკოლების პედაგოგიური კოლექტივები.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Об инициативе педагогических коллективов общеобразовательных школ г. Москвы

### 2 сентября 1980 года

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР рассмотрела постановление коллегии Министерства просвещения СССР, Президиума Центрального Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений «Об инициативе педагогических коллективов общеобразовательных школ г. Москвы», отметить XXVI съезд КПСС новыми успехами в обучении и воспитании учащихся, работать под девизом «Научим каждого учащегося учиться, жить и работать по-коммунистически» и постановила:

1. Одобрить инициативу педагогических коллективов общеобразовательных школ г. Москвы», отметить XXVI съезд КПСС новыми успехами в обучении и воспитании учащихся», работать под девизом «Научим каждого учащегося учиться, жить и работать по-коммунистически» (прилагается).

2. Обязать Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, Управление народного образования г. Тбилиси, заведующих отделами народного образования Юго-Осетинской АО, районов и городов республики:

— принять меры по разъяснению и распространению в педагогических коллективах инициативы московских учителей:

— в коллективах школьных, дошкольных и внешкольных учреждений широко развернуть социалистическое соревнование по достойной встрече XXVI съезда КПСС;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— разработать и осуществить меры по повышению педагогического мастерства и идейно-политического уровня, по обобщению лучшего опыта педагогических коллективов и передовых учителей;

— активно использовать помощь шефских и базовых учреждений в деле укрепления учебно-материальной базы школ, улучшения трудового обучения и профессиональной ориентации учащихся;

— достичь единства школы, семьи и общественности в воспитании учащихся, широко вовлечь в это дело трудовые коллективы: творческие, спортивные и культурно-просветительные учреждения.

3. Директорам общеобразовательных школ:

— рассмотреть в педагогических коллективах инициативу учителей общеобразовательных школ г. Москвы, отметить XXVI съезд новыми успехами в обучении и воспитании учащихся;

— определить эффективные пути и средства повышения качества знаний учащихся, улучшения воспитания школьников, подготовки их к труду;

— сделать более активной деятельность каждого учителя по дальнейшему совершенствованию учебно-воспитательного процесса;

— создать в педагогических коллективах атмосферу творческого труда, товарищеской взаимопомощи, поисков неиспользованных резервов;

— более активно, творчески использовать работу партийных и профсоюзных организаций;

— в воспитательную работу широко вовлекать пионерскую и комсомольскую организации школ, активизировать самоуправление учащихся.

4. Газете «Сахалхо ганатлеба» (тов. Н. Швелидзе), журналу «Скола да цховреба» (тов. А. Гогелия):

— содействовать широкой пропаганде призыва москов-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ских учителей, обобщить инициативу педагогического коллектива отдельной школы, учителя, работника народного образования в деле совершенствования обучения и воспитания учащихся;

— систематически освещать ход развернутого социалистического соревнования в органах народного образования по достойной встрече XXVI съезда КПСС.

5. Контроль за выполнением данного решения поручить Управлению школ (тов. К. Суджашвили).

**Председатель коллегии,
Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ОБРАЩЕНИЕ

## ко всем работникам народного образования г. Москвы

Дорогие товарищи!

Новый учебный год начинается в знаменательное время. 43-тысячная армия учителей г. Москвы, как и все трудящиеся страны, с огромным воодушевлением готовится к достойной встрече XXVI съезда КПСС, который определит новые рубежи коммунистического строительства.

Упорная и творческая работа педагогических коллективов столицы направленная на выполнение решений XXV съезда партии в области народного образования, стала прочным фундаментом дальнейшего развития всеобщего среднего образования, повышения эффективности и качества учебно-воспитательного процесса, улучшения подготовки учащихся к труду в народном хозяйстве, к сознательному выбору профессии.

Успешному решению этих задач способствовали патриотические почины московских учителей «Каждому школьнику — глубокие и прочные знания», «Образцовому коммунистическому городу — образцовые школы», инициатива ряда промышленных предприятий, школ, учебно-производственных комбинатов, профтехучилищ о совместной работе по трудовому воспитанию учащихся.

Однако мы хорошо понимаем, что усложнение задач коммунистического строительства, научно-технический прогресс, обострение идеологической борьбы двух мировых систем постоянно ставят перед школой новые задачи, повышают требования к результативности нашей работы.

Глубоко в душу каждого учителя запали слова Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР товарища Л. И. Брежнева, обращение к учащейся молодежи: «Учитесь, чтобы знать, учитесь, что-

бы уметь, учитесь, чтобы созидать и бороться». В этих словах сформулирована ленинская программа деятельности педагогических и ученических коллективов на современном этапе.

Сознавая свою высокую ответственность перед партией и народом, мы обращаемся ко всем учителям столицы и призываем развернуть широкую работу по дальнейшему повышению эффективности и качества учебно-воспитательного процесса под девизом «Каждого школьника научить учиться, жить и работать по-коммунистически».

В. И. Ленин в речи на III съезда комсомола, 60-летие которого исполняется в этом году, говорил о необходимости видеть в образовании не только усвоение знаний, но и превращение их в коммунистические убеждения.

Мы будем и впредь всемерно укреплять связь школ с боевыми предприятиями, учебными заведениями системы профтехобразования, шире применять общественно полезный и производительный труд учащихся, развивать техническое творчество и изобретательство наших питомцев, более эффективно использовать в трудовом воспитании учащихся учебно-методические кабинеты по профориентации и музеи трудовой славы, продолжать настойчивую работу по укреплению учебно-материальной базы трудового обучения.

Мы считаем своей главнейшей задачей заботиться о том, чтобы учительская среда пополнялась лучшими воспитанниками школ.

Угадать в наших питомцах будущего талантливого педагога, раскрыть перед ними общественную значимость, гуманизм профессии учителя — долг каждого из нас.

Все мы глубоко сознаем огромную ответственность за идейно-нравственное воспитание школьников.

Воспитывая молодых москвичей, высокие гражданские и моральные качества, мы вновь и вновь обращаемся к

В. И. Ленину, его идейному наследию, документам партии и Советского государства, книгам товарища Л. И. Брежнева, в которых черпаем для себя опыт, знания, находим ответы на волнующие вопросы.

Наша задача — раскрыть перед учащимися историческое значение огромной работы, которую ведут в борьбе за счастье советского народа Коммунистическая партия, ее ленинский Центральный комитет, Политбюро ЦК КПСС во главе с товарищем Л. И. Брежневым. Мы должны настойчиво формировать у своих питомцев глубокое понимание того, что быть «.....жителем столицы — это не только большая честь, но и огромная ответственность», учить их беречь и приумножать славные революционные, боевые и трудовые традиции партии и народа, активно участвовать в превращении Москвы в образцовый коммунистический город, прививать им чувство ответственности за порученное дело, выполнение решений партии. Это обязывает педагогические коллективы последовательно осуществлять комплексный подход к коммунистическому воспитанию молодежи, активно внедрять в повседневную жизнь наших воспитанников «нравственные принципы жителя образцового коммунистического города».

Мы должны неуклонно повышать авторитет школы в микрорайоне, шире привлекать к воспитательной работе с учащимися научно-просветительные, культурные, спортивные и творческие организации, создавать в каждой школе разветвленную сеть кружков, спортивных секций, объединений, полностью соответствующих разносторонним интересам, склонностям и способностям школьников.

Успешное решение задачи «Каждого школьника научить учиться, жить и работать по-коммунистически» во многом зависит от самих школьников. И здесь огромная роль при-

надлежит ученическому самоуправлению, пионерской и комсомольской организациям.

Наша задача — постоянно овладевать современными методами организации ученического коллектива и формирования у каждого школьника навыков общественной деятельности, помогать комсомольской и пионерской организациям в создании атмосферы общей увлеченности знаниями, трудовыми делами, всемерно развивать у учащихся товарищескую взаимопомощь, навыки организации и проведения различных коллективных форм учебной и трудовой деятельности. Мы будем упорно формировать в ученическом коллективе общественное мнение, воспитывать у каждого школьника ответственность за свои поступки, сознательную дисциплину, умение подчиняться воле и интересам коллектива, правилам, содержащимся в Уставе средней общеобразовательной школы.

Мы должны сделать так, чтобы каждое коллективное дело пионеров и комсомольцев воспитывало в них трудолюбие, скромность, правдивость, честность, благородство, инициативу.

Реализация девиза «Каждого школьника научить учиться, жить и работать по-коммунистически» обязывает нас постоянно заботиться и о совершенствовании воспитания в семье. Решение этой задачи мы видим, прежде всего, в установлении постоянных и тесных контактов между школой и семьей, основанных на полном взаимном доверии, проведении в жизнь единых педагогических требований в общественном и семейном воспитании, непрерывном улучшении уровня педагогической пропаганды, укрепления связей с общественными организациями, советами содействия семье и школе в деле всемерного повышения ответственности родителей за воспитание детей.

Впереди у нас большая и почетная работа. От нас, учителей, зависит, какими станут наши питомцы, вступив в са-

мостоятельную жизнь, включившись наравне со старшими в сознательный труд на благо мира, прогресса, коммунизма.

Чтобы реализовать девиз «Каждого школьника научить учиться, жить и работать по-коммунистически», мы должны постоянно учиться, овладевать достижениями педагогической науки и передового опыта, добиваться, чтобы каждый педагогический коллектив являл собой пример рациональной организации труда учителей и учащихся, творческого и ответственного отношения к делу, быть предельно строгими к себе, результатам своего труда, каждым днем своей жизни утверждать право учить других.

Мы — учителя-ленинцы, и для нас нет ничего более возвышенного и благородного, чем выполнять заветы великого вождя.

Следовать Ленину — значит максимально использовать учебно-воспитательный процесс для формирования активной жизненной позиции наших воспитанников, добиваться глубокого осмысления и творческого применения знаний на практике, воспитывать коллективистов на основе повышения роли пионерских и комсомольских организаций, ученического самоуправления.

Научить каждого школьника учиться — значит возбудить в нем жажду познания с тем, чтобы и в дальнейшей своей жизни он хотел и мог постоянно заниматься самообразованием.

Научить каждого школьника учиться—значит сформировать у него умение самостоятельно пополнить свои знания, ориенторовaться в стремительном потоке политической, научной и технической информации.

Мы должны помочь каждому ученику овладевать всеми формами самостоятельной работы и общеучебными навыками, научить школьников соблюдать режим каждого труда, ценить каждую минуту и рационально ее использовать.

Для этого нам предстоит многое сделать по совершенствованию методов обучения; повышению эффективности урока, факультативных занятий, различных форм внеурочной работы по предмету, групп продленного дня. Мы должны приложить максимум энергии к дальнейшему укреплению учебных кабинетов, созданию в каждом из них условий для самостоятельной урочной и внеурочной работы школьников.

Мы призываем всех учителей Москвы добиться высокого уровня трудового обучения, воспитания и профориентации учащихся в соответствии с требованиями социально-экономического развития нашего общества.

Сформировать у каждого школьника коммунистические отношения к труду, привить трудолюбие, прочные трудовые навыки, готовность трудиться там, где больше всего нужны молодые рабочие руки, открыть развить и утвердить, в молодом человеке его трудовое призвание — в этом мы видим главную цель воспитания подрастающего поколения.

Мы должны обеспечить полное использование в трудовом воспитании возможности всех учебных дисциплин, преемственность трудового обучения, неуклонное повышение научно-теоретического и методического уровня уроков труда, диференцированную работу по профориентации учащихся, основанную на глубоком изучении психологических особенностей школьников, их интересов, склонностей и способностей а также потребностей народного хозяйства города в рабочих кадрах.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дорогие товарищи!

Хорошо понимая, что поставленные Коммунистической партией перед школой задачи можно успешно рещить, только объединив усилия школы, родителей педагогической науки, трудовых коллективов и широкой общественности, мы призываем всех трудящихся, всех жителей нашего города активно помогать школе в деле обучения и коммунистического воспитания подрастающего поколения.

С чувством высокой гражданской ответственности мы призываем своих коллег, всю 43-тысячную армию просвещенцев столицы включиться в патриотическое движение «Каждого школьника научить учиться, жить и работать по-коммунистически» и тем самым внести свой вклад в достойную встречу XXVI съезда нашей партии.

**Педагогические коллективы школ № 46 Октябрьского района, № 67 Киевского района ,№ 71 Кунцевского района, № 73 Краснопресненского района, № 121 Черемушкинского района, № 146 Фрунзенского района, № 331 Люблянского района, № 667 Советского района, № 465 Ждановского района, № 785 Волгоградского района, № 872 Красногвардейского района, № 889 Перовского района.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 12 სექტემბრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ნორჩ ქიმიკოსთა 33-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების და 34-ე ოლიმპიადის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

1979—1980 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 33-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტური ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარდა. ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის მონაწილე მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნისა და ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების კარგი ცოდნა გამოამჟღავნა.

ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 3150 მოსწავლემ, საქალაქო (სარაიონო) ტურში — 1690 მოსწავლემ, ზონალურ ტურში — 785 მოსწავლემ, მათგან რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 126 ნორჩმა ქიმიკოსმა, გაიმარჯვა და I, II და III ხარისხის სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა 40 მოსწავლე.

ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში კარგად იმუშავეს თბილისის 42-ე, 64-ე, ქ. რუსთავის მე-12, ქ. ზუგდიდის მე-14, სამტრედიის რუსული, მახარაძის მე-3 საშუალო სკოლებმა, რომელთა აღსაზრდელებმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

ამასთან, ქიმიის ოლიმპიადის სასკოლო, რაიონულ (საქალაქო) და ზონალური ტურების საორგანიზაციო კომიტეტებისა და ცალკეული მასწავლებლების მუშაობაში შეინიშნებოდა ნაკლოვანებები. ზოგან ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან საგნით დაინტერესებული მოსწავლეების გამოვლენას, მათთან დამატებითი მუშაობის მოწყობას, ხოლო მოსწავლეთა ნამუშევრებს აფასებენ ლიბერალურად. ამის გამო დასკვნითი ტურის მონაწილე 16 მოსწავლემ 10 შესაძლებლობიდან 0 და 1 ქულა დაიმსახურა, 37 მონაწილემ კი — 2 და 3 ქულა. მოუმზადებელი მოსწავლეები გამოაგზავნეს აფხაზეთის ასსრ (16 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა); აჭა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის ასსრ (12 მოსწავლიდან ერთმაც ვერ გაიმარჯვა), ჩხოროწყუს, ზესტაფონის, ცაგერის, დმანისის, თეთრიწყაროს რაიონებისა და ქიათურის ზონის სკოლებმა.

მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ აქვს საკმარისი თეორიული ცოდნა და ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევები. ზოგჯერ ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში იმითაც არის გაპირობებული, რომ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე მუშაობას, ფაკულტატიური საათების მიზნობრივად გამოყენებას, ხოლო სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები საკმარის კონტროლს არ უწევენ სასკოლო, რაიონულ (საქალაქო) და ზონალური ტურების მომზადებასა და ჩატარებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ქიმიკოსთა 33-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 40 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით და ფასიანი საჩუქრით 6 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით და ფასიანი საჩუქრით 15 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით და ფასიანი საჩუქრით 19 მოსწავლე.

2. დამტკიცდეს ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (თან ერთვის).

3. 1980—1981 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 34-ე ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ტურად. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტური ჩატარდეს 1980 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ზონალური — 1981 წლის 5 იანვარს, რესპუბლიკური (დასკვნითი) — 1981 წლის 23—24 მარტს. 23 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 24 მარტს — ექსპერიმენტული. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს განათლების განყოფილება.

4. ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

დარჩია მ. დ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი, კომიტეტის თავმჯდომარე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავრი ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპანაძე შ. გ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე, თავმჯდომარის მოადგილე

გაგოშიძე ნ. გ. — თბილისის 163-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი, კომიტეტის მდივანი

რუხაძე ლ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორი

ცინცაძე გ. ვ. — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი

ადამია ს. ვ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბახტაძე ი. გ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის გამგე

ეგაძე თ. ნ. — განათლების სამინისტროს სასკოლო მეთოდური ცენტრის დირექტორი

დემეტრაძე ქ. ნ. — პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ეფიმოვა გ. ი. — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

უნგიაძე კ. თ. — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე

გოდერძიშვილი მ. ი. — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

ჩალაგაშვილი ნ. პ. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

გიგაური მ. ს. — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე

5. ნორჩ ქიმიკოსთა 34-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით სისტემატიური ხელმძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

ბ) პერიოდულად მოიწვიოს კომიტეტის სხდომები და მოისმინოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხები, დასახოს ქმედითი ღონისძიებები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის მოსწავლეთა შერჩევას, მათთან მეცადინეობისათვის შეარჩიოს უმაღლესი და საშუალო სკოლის კვალიფიციური მუშაკები და უზრუნველყოს მოსწავლეთა სისტემატური ვარჯიში.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ ნორჩ ქიმიკოსთა 33-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ქიმიის მასწავლებელთა სექციის სხდომებზე და საჭირო ღონისძიებების დასახვა საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) მიაღწიონ ქიმიის ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას. ამ მიზნით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას; სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ქიმიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას. წაახალისონ ქიმიის გაღრმავებული სწავლების შემოღება სკოლებში.

7. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა შეარჩიონ ქიმიით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი რთული თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, მიაჩვიონ ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას. მაქსიმალურად გამოიყენონ ქიმიის ოლიმპიადები მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის, მათი პოლიტექნიკური დონის ამაღლებისა და ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის ჩვევების განვითარებისათვის.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) 1981 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი ნორჩ ქიმიკოსთა 1-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის 1981 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1980 წლის 22 აგვის-
ტოს გადაწყვეტილებით

# დებულება

## ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1. ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ქიმიაში, გამოავლინოს ნიჭიერი და საგნით დაინტერესებული მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლას ქიმიის სწავლების დონის ამაღლებაში.

3. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საღამოს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მე-8, მე-9, მე-10 (მე-11) კლასების მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებსაც ამტკიცებენ ზონის ცენტრის განათლების განყოფილებები. ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში შეყვანილ უნდა იქნენ ზონაში შემავალი რაიონების (ქალაქების) წარმომადგენლები;

გ) რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებსაც ამტკიცებენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებსაც ამტკიცებენ სკოლის დირექტორები.

5. რესპუბლიკური და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები ქმნიან ჟიურის. ჟიური ადგენს ამოცანებს, ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და გამოყოფს გამარჯვებულებს.

6. რესპუბლიკური, ზონალური, რაიონული (საქალაქო) და სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშებს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე.

7. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი — სასკოლო, მეორე — რაიონული (საქალქო), მესამე — ზონალური და მეოთხე — რესპუბლიკური. ოთხივე ტური დასწრებულია.

პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე — რაიონის (ქალაქის) ცენტრში, მესამე — ზონის ცენტრში, მეოთხე — ქ. თბილისში.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 30 ზონად. ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეებისათვის.
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ქუთაისი — ქ. ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს ზონის, მაიაკოვსკის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. ქ. სამტრედია — სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
8. ქ. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის
10. ქ. ცხაკაია — ცხაკაიის, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

12. ქ. ჭიათურა — ქ. ჭიათურის ზონის და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

13. ქ. გორი — ქ. გორის და გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

14. ქ. მცხეთა — მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

15. ქ. ახალციხე — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

16. ქ. ახალქალაქი — ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

17. ქ. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისის და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

18. ქ. თეთრიწყარო — თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

19. ქ. თელავი — თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

20. ქ. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

21. ქ. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

22. ქ. ამბროლაური — ამბროლაურის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

23. ქ. მეტსია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

24. ქ.ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

25 ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

26. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

27. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

28. ონი — ონის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

29. წალკა — წალკის სკოლების მოსწავლეებისათვის

30. თბილისი — რკინიგზის სკოლებისათვის

8. სასკოლო ტური ტარდება ნოემბერში, რაიონული (საქალაქო) დეკემბერში, ზონალური — იანვარში, რესპუბლიკური — მარტში, სასკოლო და რაიონული (საქალქაო) ოლიმპიადების ზუსტ თარიღს ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

9. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ამოცანებს ადგენენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები, ზონალური და რესპუბლიკური ტურების ამოცანებს — რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ გაანგარიშებითი და თვისებითი ხასიათის ხუთ-ხუთი ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით, სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 12 ფურცლიანი რვეულები.

ზონალური ტურისათვის ამოცანებს დალუქული პაკეტით საორგანიზაციო კომიტეტი მიიღებს ფოსტით ან სპეციალურად მივლინებული პირის საშუალებით.

დალუქულ პაკეტს ამოცანებით აუდიტორიაში მოსწავლეების თანდასწრებით ხსნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

10. მოსწავლეთა ნამუშევრებს იბარებს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც იმავე ან მეორე დღეს ასწორებს მათ; ცნობებს იმის შესახებ თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას მათი ნამუშევრების თანდართვით უგზავნის შემდგომი ეტაპის საორგანიზაციო კომიტეტს ტურის ჩატარების მეორე დღეს.

11. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით, თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, ამოცანის ამოხსნაში არაარსებითი ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევაში იწერება ერთი ქულა, ხოლო ორი არასწორი ამოხსნისათვის მოსწავლეს ნული ქულა ეწერება. შეფასება იწერება თითოეული ამოხსნილი ამოცანის ბოლოს. აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა. სამუშაოს ბოლოში კომისია წერს ქულათა საერთო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაოდენობას და აწერს ხელს.

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ 6 და მეტ ქულას.

12. წარმოდგენილი ნამუშევრების გადამოწმების შემდეგ დასკვნით ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიას კლასების მიხედვით საზღვრავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და ამის შესახებ დროულად აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

13. დასკვნითი ტური ჩატარდება ორ ეტაპად, თეორიულ ტურში მოსწავლეებს მიეცემათ 5—5 თეორიული ხასიათის ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით.

თეორიული ტურის ჩატარების შემდეგ, იმავე დღეს სწორდება მოსწავლეთა ნამუშევრები და ვლინდება გამარჯვებულები.

ექსპერიმენტულ ტურზე დაიშვებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც ექვს და მეტ ქულას დააგროვებენ.

14. ექსპერიმენტულ ტურზე მოსწავლეებს მიეცემათ თითო ამოცანა. მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა შეასრულოს დავალება და გააკეთოს სათანადო ჩანაწერები მის მიერ ჩატარებული ცდის შესახებ. შესასრულებლად მათ ეძლევათ 2 ასტრონომიული საათი.

15. საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს ნამუშევრებს, აძლევს შეფასებას და გამოიყვანს ქულათა საერთო ჯამს თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით.

16. სია ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად წარედგინება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მოაგროვებენ 6 და 8 ქულას, II ხარისხის დიპლომით — 9-10 ქულას, I-ლი ხარისხის დიპლომით 11—12 ქულას.

ჯილდოების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულთაგან შეარჩევს მოსწავლეებს ნორჩ ქიმიკოსთა საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აჯილდოებს, აგრეთვე, იმ მასწავლებლებს, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ნორჩ ქიმიკოსთა წრეებში, პროპაგანდას უწევენ ქიმიურ მეცნიერებას, ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და რომელთა მოსწავლეები მოიპოვებენ წარმატებას ოლიმპიადაში.

ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის რესპუბლიკური
საორგანიზაციო კომიტეტი

თ ბ ი ლ ი ს ი, პლეხანოვის გამზირი № 178,
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . 3

Решение — о проведении смотра-конкурса на лучшее предприятие общественного питания общеобразовательных школ Минпроса Грузинской ССР . . . . . . . . . . . . . . 20

გადაწყვეტილება — სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის მდგომარეობის შესახებ 34

Решение — о создании надлежащих условий работы и быта учителям сельских школ республики в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1973 года «О мерах по дальнейшему улучшению условий работы сельских школ» 42

გადაწყვეტილება — 1975—1979 წლებში ჩატარებული ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ აჭარის ასსრ-ში, ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონებში . . . . . . . . . . 56

ინფორმაცია — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეცსკოლა-ინტერნატების (სკოლების) ახალი, 1980—1981, სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესახებ . . 64

გადაწყვეტილება — ქ. მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის შესახებ . . . . . 70

Решение — об инициативе педагогических коллективов общеобразовательных школ г. Москвы . . . . . . . . 80

ბრძანება № 596 — ნორჩ ქიმიკოსთა 33-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 34-ე ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . . 90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 10/III-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-81 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,10;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,75;

შეკვ. № 234 უე 17569 ტირაჟი 6 000

ფასი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7.